ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სერბეთის პარლამენტის სპიკერს საპატრიარქოში განმარტებების გაკეთება მოუწევს

გვ.2

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი

საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ხუთშაბათი, 25 იანვარი, 2018 №20 (7565) ფასი: 50 თეთრი

„ქართული ოცნება“ ტაქსისტების რევოლუციას მიიღებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძე და ივანიშვილი ათასობით ადამიანს შემოსავლის გარეშე ტოვებენ“

გვ.3

შალვა ხაჭაპურიძე: „ერთი აბი სუბოტექსისთვის ადამიანი ცოცხალი არ უნდა გაუშვა“

გვ.4

გია გაჩეჩილაძე: „თუ ნარკომომხმარებელს აღმოაჩნდა ნებისმიერი დოზა, ის ნარკორეალიზატორად უნდა ჩაითვალოს“

გვ.3

თენგიზ შარმანაშვილი: „ქვეყნის პირველ პირად კვლავ პრეზიდენტი რჩება“

გვ.2

სამართალი გვ.7

პოლიციამ ამერიკაში ქართველი ექიმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა

ბექა წიქარიშვილს 2-კვირიანი პატიმრობა შეეფარდა



„ანატოლი ბერძენიშვილი ახმეტ ჩატაევს დაეხმარა და ქალაქ ხოფიდან მისი ტრანსპორტირება უზრუნველყო“

ოზურგეთში მანდატურმა სკოლის მოსწავლეს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინა

ეკონომიკა გვ.5

ინფლაცია 2018 წელსაც მიზნობრივზე მაღალი იქნება

გვ.6

ირაკლი ლექვინაძე ბიზნესმობუდსმენად ინიშნება?!

გვ.6

გიორგი კვირიკაშვილმა დავოსში ვიზიტი შეაჯამა

ISSN 1987-9385

2 „თბილისი მოლში“, „კარფურში“ არსებულ სენდვიჩების გაყოფილებას საწარმოო პროცესი შეუჩერდა

4 კვიპროსის მთავრობამ კვიპროსში ქართული მონასტრის ასაშენებლად საქართველოს 12.595 კვ.მ მიწა აჩუქა

7 გიორგი გიორგანაშვილს საბრძოლო განწყობა აქვს

„ქვეყნის პირველ პირად კვლავ პრეზიდენტი რჩება“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე იურიდიულ საკითხებში თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტის უფლებამოსილებაზე საუბრობს.

– ბატონო თენგიზ, წელს საპრეზიდენტო არჩევნებია, საკონსტიტუციო რეფორმის შემდეგ საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებამოსილებები როგორია, რამდენად შეიძლება მას ცერემონიალური ხასიათის პრეზიდენტი ვუწოდოთ?

– მე არ ვემხრობი ტერმინს „ცერემონიალური“. შემდეგი ტიპის პრეზიდენტი არსებობს: საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც სრულად ახორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. მეორე, შერეული, ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტი, სადაც პრეზიდენტს ნაწილობრივ აქვს უფლებამოსილებები და მესამე, საპარლამენტო რესპუბლიკა, სადაც პრეზიდენტს აღმასრულებელი ხელისუფლება არ გააჩნია. საპარლამენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტს აქვს სახელმწიფოს მეთაურის ზოგიერთი უფლებამოსილება, რომელსაც ახორციელებს. ამდენად, ჩვენი სახელმწიფოს პრეზიდენტი იქნება არა ცერემონიალური ხასიათის, არამედ საპარლამენტო რესპუბლიკის შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილი პრეზიდენტი.

– არის თუ არა ქვეყნის პირველი პირი პრეზიდენტი?

– ქვეყნის პირველი პირი ყველა ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურია. ეს არ განისჯება და ეს სულაც არ არის დამოკიდებული ხელისუფლების ხარისხზე. მაგალითად, საპარლამენტო მონარქიებში ქვეყნის პირველი პირი არის მონარქი, მაგალითად, ესპანეთში – ესპანეთის მეფე, დიდ ბრიტანეთში – დედოფალი და ა.შ.

– ანუ პრეზიდენტია?

– რა თქმა უნდა, პრეზიდენტია. კონსტიტუციის ახალი რედაქციით პრეზიდენტს სტატუსი არ შესცვლია, ის არის სახელმწიფოს მეთაური.

– ხშირად არის ეს საკითხი დავის საგანი, ამიტომ მაინტერესებს, კონსტიტუციის ახალი რედაქციით, პრეზიდენტს, რომელსაც ავირჩევთ, რა ძირითადი უფლებამოსილებები ექნება?

– პრეზიდენტი არის თავდაცვის ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში. თუმცა, გარკვეული პირობებია ამასთან დაკავშირებით. პრეზიდენტი საგარეო უფლებამოსილებებს მთავრობის თანხმობით ახორციელებს.

– საომარი მოქმედების დროს როგორია პრეზიდენტის როლი?

– საომარი მოქმედებების დროს, მოქმედ კონსტიტუციაში არ იყო განსაზღვრული ფუნქციები, ამიტომ ეს საკითხი მოწესრიგდა. მოხდა მთავრობასა და პრეზიდენტს შორის უფლებამოსილებების გადანაწილება საომარი და საგანგებო ვითარების დროს.

– საგანგებო ვითარებას ქვეყანაში ვინ აცხადებს?

– მთავრობის წინადადებით პრეზიდენტი აცხადებს საგანგებო ვითარებას და საომარ ვითარებასაც. ამიტომ ვამბობ, რომ ამ ტიპის პრეზიდენტი ნამდვილად არ არის ცერემონიალური ხასიათის. როგორ შეიძლება ქვეყანაში საგანგებო ვითარებას ცერემონიალური ხასიათის პრეზიდენტი აცხადებდეს?!

– რაც შეეხება შეწყალების უფლებას, ამ საკითხზეც ბევრი საუბარი იყო, რომ შეიძლება ეს უფლებამოსილება ჩამოართვან პრეზიდენტს. რჩება ეს უფლებამოსილება თუ არა?

– შეწყალების უფლებამოსილება სრულად რჩება პრეზიდენტს. ამ უფლებამოსილების განხორციელებაში მთავრობა არანაირად არ ერევა.

– დღეს მოქმედი კონსტიტუციით როგორც არის განსაზღვრული, ისე რჩება?

– დიახ, ზუსტად ასე გადადის ახალ რედაქციაშიც.

– რაც შეეხება მოქალაქეობის მინიჭების საკითხს. ეს როგორ რეგულირდება?

– მოქალაქეობის საკითხი დაზუსტდა. ადრე იყო ჩანაწერი, რომ საქართველოს მოქალაქეობას პრეზიდენტი ანიჭებს პირს, მაგრამ არაფერი არ იყო დაზუსტებული, რა, როგორ, ახლა ორგანული კანონით დაზუსტდა.

– ისევ პრეზიდენტი ანიჭებს, მაგრამ ორგანულ კანონზე დაყრდნობით?

– დიახ, სწორედ ასეა.

– ელჩების დანიშვნის საკითხი როგორ არის?

– როგორც იყო, ელჩებს ნიშნავს პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით.

– საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების წარდგენის უფლება თუ დარჩა?

– დიახ, ეს უფლება პრეზიდენტს როგორც ადრე იყო, ისევ ისე დარჩა. საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრა მოსამართლიდან სამ მოსამართლეს პრეზიდენტი დანიშნავს.

– უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს?

– რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს, ეს უფლებამოსილება პრეზიდენტს უკვე აღარ აქვს და ეს უფლებამოსილება მთლიანად გადადის იუსტიციის უმაღლეს საბჭოზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭო შესთავაზებს კანდიდატებს პარლამენტს და პარლამენტი დაამტკიცებს. ეს წინადადება მოდიოდა ვენეციის კომისიისგან, ეს მათი რეკომენდაციაა.

კიდევ ერთი უფლებამოსილება ეხება საელმწიფო ჯილდოებს. რა წესით, როგორ, ეს საკითხი არ იყო დაზუსტებული და ახლა მოხდა დაზუსტება.

– გამოდის, რომ არც ისეთი ეფემერულია პრეზიდენტის უფლებამოსილებები, მხოლოდ უცხოეთის დელეგაციებს არ ჩამოართმევს ხელს?

– რასაკვირველია. ერთია მნიშვნელოვანი – რა ტიპის მმართველობაც არის, იმ მმართველობის შესაბამისია პრეზიდენტის უფლებამოსილებებიც. პრეზიდენტი თავის უფლებამოსილებებს სრულად ახორციელებს, მაგრამ ეს უფლებამოსილებები დაცლილია აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება შეცდომაში შედის, რადგან მას ის პრეზიდენტები ჰყავს ნანახი, რომელთაც აღმასრულებელი ფუნქცია ჰქონდათ, რადგან ისინი საპრეზიდენტო რესპუბლიკის პრეზიდენტები იყვნენ. ამიტომ ახლა ეს პრეზიდენტი, საპარლამენტო რესპუბლიკის, ცერემონიალური ჰგონიათ. არადა, ეს არის საპარლამენტო რესპუბლიკისთვის დამახასიათებელი უფლებამოსილებები.

– ძლიერი საპრეზიდენტო კანდიდატები არის მოსალოდნელი?

– სრულიად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა. თუმცა, საარჩევნო კამპანიის, საარჩევნო ბატალიების წარმართვა პოლიტიკური პარტიებისა და ფინანსების გარეშე წარმოუდგენელია, შემდეგ უკვე რთული ხდება მათგან დისტანცირება. ახლა, რა თქმა უნდა, რთული იქნება მეცნიერის, პროფესორის არჩევა პრეზიდენტად, ასეთი ტიპის კანდიდატი არჩევნებს წააგებს, ამიტომ კვლავ პოლიტიკური ფიგურა იქნება. არადა, საპარლამენტო რესპუბლიკაში სწორედ მეცნიერი, მოღვაწე, ამ ტიპის კანდიდატი უნდა იყოს პრეზიდენტად არჩეული.

რაც შეეხება არჩევნების საკითხს, ერთჯერადად მოგეხსენებათ, რომ პრეზიდენტი პირდაპირი წესით, ხალხის მიერ აირჩევა. ხოლო შემდგომი არჩევნები კი არაპირდაპირი წესით ჩატარდება. პრეზიდენტს აირჩევს 300 კოლეგიის წევრი, რომელიც კომპლექტდება პარლამენტის წევრების სრული შემადგენლობით, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დეპუტატების სრული შემადგენლობით.

სერბეთის პარლამენტის სპიკერს საპატრიარქოში განმარტებების გაკეთება მოუწევს

რას ეტყვის ილია II-ს მაია გოიკოვიჩი

შორენა მარსაგიშვილი

სერბეთის პატრიარქისა და ოკუპირებული ცხინვალის მეთაურის შეხვედრას საქართველოში კვლავ აქტიურად განიხილავენ. ამ თემაზე განმარტებების გაკეთება საქართველოში ვიზიტად მყოფ სერბეთის პარლამენტის სპიკერს, მაია გოიკოვიჩსაც მოუწევს.

იგი დღეს, 25 იანვარს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ს შეხვდება. პატრიარქი მასთან სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის სერბეთის პატრიარქთან შეხვედრის საკითხზე ისაუბრებს.

სერბეთის პატრიარქის და დე ფაქტო პრეზიდენტის შეხვედრა მიმდინარე წლის 13 იანვარს შედგა. საქართველოს საპატრიარქო ამ შეხვედრას მოგვიანებით გამოეხმაურა. სერბეთის მხრიდან კი განმარტებები აგვიანებს.

– ჩვენს საზოგადოებაში არსებობს ძალიან ბევრი კითხვა. ჩვენ, სამწუხაროდ, სერბეთის მხრიდან კონკრეტული ოფიციალური ინფორმაცია არ მიგვიღია. მხოლოდ კულუარულ ინფორმაციებს ვიღებთ, რომ სერბეთის პატრიარქთან შეხვედრა არ იყო ოფიციალური ვიზიტი. ამიტომ, საპატრიარქოში დღევანდელ შეხვედრაზე ვთხოვთ მათ, რომ დაადასტურონ ეს ინფორმაცია ან შესაბამისი მტკიცებულებები წარმოადგინონ, რათა ქართული საზოგადოება ამაში დარწმუნდეს, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში პატრიარქის მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოვლმა.

ბიბილოვისა და სერბეთის პატრიარქის შეხვედრა 13 იანვარს გაიმართა. 2 დღის შემდეგ კი საქართველოს საპატრიარქომ სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილებას წერილით მიმართა. ჩვენებურებმა ახსნა განმარტებები მოითხოვეს იმის თაობაზე, რომ სერბეთის პატრიარქმა ირინეოსმა ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერი, ანატოლი ბიბილოვი თავის რეზიდენციაში მიიღო.

– შევნიშნავთ, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ცხინვალის რეგიონი, სამაჩაბლო, ერთი და იმავე სივრცის აღმნიშვნელი ტერმინებია და აქ 25 წელზე მეტია, რაც საქართველოს სახელმწიფო და საქართველოს ეკლესია, ფაქტობრივად, თავის იურისდიქციას ვერ ახორციელებს, რადგან იგი არის ოკუპირებული. არადა ეს მხარე, უძველესი ქართული მიწაა, რასაც აღიარებს სახელმწიფოთა აბსოლუტური უმრავლესობა და, მათ შორის, თქვენი ქვეყანაც. ამიტომაც, აღნიშნული შეხვედრა, ბუნებრივია, თქვენი მხრიდან გარკვეულ ახსნას ითხოვს.

საქართველოში უყვართ სერბი ხალხი და სერბეთის ეკლესია. ვიმედოვნებთ, ჩვენი ურთიერთობა კვლავაც ძმურ სიყვარულზე, პატივისცემასა და სამართლებრივ პრინციპზე იქნება დაყრდნობილი, მით უმეტეს, ორივე ქვეყანას და ეკლესიას რთული პერიოდი გვაქვს გადატანილი და ვიცით დიდი განსაცდელებით გამოწვეული ტკივილის ფასი.

გთხოვთ, ჩვენი გულისტკივილი და კეთილი სურვილები გადასცეთ უნეტარეს ირინეოსს, – ნათქვამია საპატრიარქოს წერილში.

სერბეთის პატრიარქის და ბიბილოვის შეხვედრასთან დაკავშირებით საპატრიარქოს წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ სერბეთის სულიერმა ლიდერმა არც კი იცოდა ვის შეხვდაო.

ოსური მედიის ცნობით კი, პატრიარქმა ირინეოსმა იცოდა ვისაც შეხვდა. მეტიც, მას ბიბილოვისთვის და სამხრეთ ოსეთისთვის აყვავება უსურვებია.

სერბეთის საპატრიარქოდან განმარტება არ მოსულა. ვნახოთ, რას იტყვის მათი პარლამენტის სპიკერი.

„თბილისი მოლში“, „კარფურში“ არსებულ სენდვიჩების განყოფილებას საწარმოო პროცესი შეუჩერდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „თბილისი მოლში“, „კარფურში“ არსებულ სენდვიჩების განყოფილებას საწარმოო პროცესი შეუჩერა.

სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურმა ბიზნესოპერატორის არაგეგმური ინსპექტირება რამდენიმე პირის შესაძლო საკვებისმიერი ინტოქსიკაციის შესახებ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრიდან მიღებული შეტყობინების საფუძველზე ჩაატარა. შემოწმებისას გამოვლინდა კრიტიკული შეუსაბამობა. ბიზნესოპერატორს საწარმოო პროცესი შეუსაბამობის აღმოფხვრის შემდეგ აღუდგება.

ანატოლი ბერძენიშვილს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა

ანატოლი ბერძენიშვილს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდებით დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლო მსჯელობდა.

ბერძენიშვილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა კვირის დასაწყისში დააკავა, მას ახმედ ჩატაევის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის ხელშეწყობასა და ტერორიზმის დაფინანსებას ედავებიან.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნება“ ტაქსისტების რევოლუციას მიიღებს“

ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძე და ივანიშვილი ათასობით ადამიანს შემოსავლის გარეშე ტოვებენ“

შორენა მარსაგიშვილი

თბილისის მერის, კახა კალაძის ინიციატივით, ტაქსების სავალდებულო რეგისტრაციას იწყება. როგორც მან დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, თბილისის მოსახლეობა და სტუმრები ხარისხიან, უსაფრთხო და კომფორტულ სერვისს იმსახურებენ.

– ჩვენ ხელს შევუწყობთ ამ სერვისის ეტაპობრივად გაუმჯობესებას. ამჟამად ვმუშაობთ სამართლებრივი საფუძვლების შექმნაზე, იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტმა გასცეს ტაქსის სერვისის განხორციელების ნებართვა. ეს იქნება სავალდებულო რეგისტრაცია, რათა ეტაპობრივად განხორციელდეს ტაქსის სერვისის განვითარება იმგვარად, რომ მძიმე ტვირთად არ დააწვება ამ საქმიანობით დაკავებულ მოქალაქეებს, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ქალაქის თავის ინიციატივას ტაქსისტები და უფლებადამცველები უარყოფითად შეხვდნენ. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა მერია ტაქსების ბიზნესის „დათრევას“ ცდილობს. ეს მცდელობა ჯერ გიგი უგულავას ჰქონდა, შემდეგ – დავით ნარმანიას. ახლა ამ სფეროს მოწესრიგების ინიციატივით ახალი მერი გამოდის.

უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულ ოცნებას“ ეს ლუკმა ყელში გაეჩხირება.

რა საფრთხეებს შეიცავს კალაძის ინიციატივა, რამდენი ადამიანი დარჩება ულუკმაპუროდ, ვინ იშოვის მილიონებს, ვის გაუძვირდება ცხოვრება, როგორი იქნება საზოგადოების რეაქცია? – ამის შესახებ ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

ლაშა ჩხარტიშვილი:

– ტაქსების ბიზნესის გაკონტროლებას ჯერ კიდევ წინა ხელისუფლება შეეცადა. ეს სფერო კახა კალაძეს და „ქართული ოცნებას“ გემრიელ ლუკმად ეჩვენებათ და მის გადაყლაპვას ცდილობენ. ამაზე მათ ბიძინა ივანიშვილის თანხმობაც ექნებათ.

ეს სფერო არის ადგილი, სადაც უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებს ჯერ კიდევ შეუძლიათ ლუკმაპურის შოვნა. ხელისუფლება ცდილობს, ეს ბოლო ლუკმაც წაართვას ხალხს პირიდან.

დარწმუნებული ვარ, რომ არც ივანიშვილს და არც კალაძეს ამ სფეროში არაფრის მოგვარება არ სურთ. ისინი ამ ბიზნესის დათრევით არიან დაინტერესებული. საუბრები იმაზე, რომ მათ უნდათ, რომ მგზავრებს კომფორტი შეუქმნან, არის ზღაპრები. ამ ზღაპრების მოყოლა იმ მიზნის მისაღწევად უნდათ, რის მიღწევას ჯერ კიდევ უგულავა და სააკაშვილი ცდილობდნენ.

„ქართული ოცნება“ კომფორტის და მგზავრებზე ზრუნვის საბაბით ცდილობს, ხელში ჩაიგდონ ტაქსების ბიზნესი. თავის დროზე ასე ჩაიგდეს ხელში ნაცებმა მიკროავტობუსების ბიზნესი. ეს ტრადიცია ქოცებმაც გააგრძელეს, ყველა სფეროს მონოპოლიზება მოახდინეს. ადამიანებს იმის მინიმალური შანსიც კი აღარ დაუტოვეს, რომ დამოუკიდებლად არჩინონ ოჯახები.

– რატომ არ გჯერათ, რომ ხელისუფლებას მგზავრებისთვის კომფორტის შექმნა სურს. ტაქსების მიმართულებით ბევრი რამეა მოსაწესრიგებელი.

– ამ სფეროს მოწესრიგება სჭირდება, მაგრამ „ოცნება“ ამით დაინტერესებული არ არის. კომფორტის შექმნაზე საუბარი, კიდევ ერთხელ ვამბობ, საბაბია ამ ბიზნესის ხელში ჩასაგდებად.

მე გაგახსენებთ, როგორ შემოიყვანეს ნაციონალებმა ყვითელი მარშრუტკები. მაშინაც ბევრს საუბრობდნენ, რომ ეს სფერო მოწესრიგდებოდა. ამტკიცებდნენ, რომ მგზავრებს ფეხზე დადგომა აღარ მოუწევდათ, მგზავრობა უფრო უსაფრთხო იქნებოდა, მოკლედ რომ ვთქვათ, მომხმარებელს განსაკუთრებულ სიკეთეებს დაპირდნენ.

სინამდვილეში რა მივიღეთ – მგზავრობის საფასური გაიზარდა, ისევ ფეხზე გვიწევს დგომა, არც ხარისხის თვალსაზრისით არის რაიმე პრინციპული სხვაობა. ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სამარშრუტო ტაქსები ვიზუალურად კარგად გამოიყურება – უფრო კარგადაა შეღებილი. თუმცა არა მგონია, რომ საღებავის ფერი და ხარისხი მგზავრებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი იყოს.

ტაქსების შემთხვევაშიც ასე მოხდება. ჩაიგდებენ ამ ბიზნესს ხელში და ათასობით ადამიანი დარჩება ულუკმაპუროდ.

– ის მაინც თუ არის დადგენილი, რამდენი ადამიანი ტაქსაობს?

– ამის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. მარტო თბილისში ათეულობით ათასი ადამიანი ამ გზით შოულობს პურის ფულს. ქვეყანაში არსებულ ტოტალურ უმუშევრობას თუ გავითვალისწინებთ, ტაქსაობა ბევრი ჩვენი თანამოქალაქისთვის თავის გადარჩენის ერთადერთი შანსია.

ეს ადამიანები ასე იოლად არ დათმობენ პურის ფულს. ტაქსების სფერო, ეს გემრიელი ლუკმა, შესაძლოა, ყელში გაეჩიროს ივანიშვილს და კალაძეს. მინდა მჯეროდეს, რომ ისინი გონს მოეგებიან და უარს იტყვიან თავიანთ კორუფციულ ინტერესებზე.

დარწმუნებული ვარ, რომ მათ უკვე შერჩეული ჰყავთ ის მოთამაშეები, რომლებსაც ამ ბიზნესში შემოიყვანენ. ისინი ამათ წილებს გაუყოფენ. კონკრეტულ კომპანიებზე რაღაც ინფორმაციები მაქვს, მაგრამ მათ ჯერ არ დავასახელებ, რადგანაც სათანადო მტკიცებულებები არ გამაჩნია, ჭორების გავრცელება კი არ მინდა.

სამაგიეროდ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ხალხზე ზრუნვის უკან კონკრეტული ადამიანების ოლიგარქიული ინტერესები დგას. ამ სფეროს გაკონტროლების შედეგად ამ ამ პირთა ქონება დამატებით მრავალი მილიონით გაიზრდება.

– ტაქსის მძღოლები ამბობენ, რომ მათი მინიმალური შემოსავალი აქვთ.

– ერთი ადამიანისთვის ეს მართლაც მინიმალური შემოსავალია, მაგრამ ათეულობით ათასი ადამიანის შემოსავალი ჯამურად, დღეშიც კი მილიონებს შეადგენს. მთელი საქართველოს მასშტაბით თუ ვიმსჯელებთ, შემოსავალი ასეულობით მილიონებს მიაღწევს.

ვიცით ისიც, რომ დღესაც შემოსავლის ლომის წილი კომპანიების მფლობელებს ხვდება. დაქირავებულები ჩვეულებრივ მონურ მდგომარეობაში არიან. მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

– რატომ დამძიმდება?

– როცა კონკურენცია დაბალია, ეს მომსახურე პერსონალზე, მათ ანაზღაურებაზეც აისახება. ტაქსების ბიზნესის მონოპოლიზება ჩვენზე, მოქალაქეებზეც, უარყოფითად აისახება – დღეს ჩვენთან ტაქსი მართლაც იაფია, რაც სწორედ ამ კონკურენციის დამსახურებაა, კონკურენცია როცა შემცირდება, ტაქსის მომსახურების ფასიც გაიზრდება.

ერთ ფერში შეღებილი ტაქსების ხილვას, ჩვენს მოქალაქეებს იაფი მომსახურება ურჩევნიათ.

– ტაქსებს ალბათ „ოცნების“ ფერად – ლურჯად შეღებავენ. ლურჯი ავტობუსები უკვე დადის ქალაქში.

– არ არის გამორიცხული, ლურჯ ფერზე შეაჩერონ არჩევანი. თვალის ასახვევად ალაგ-ალაგ წითელსაც შეურევენ.

– წითელს რატომ?

– ნაციონალების ფერია. ამ ორ ფერს შორის განსხვავება ყოველდღე მცირდება. რომელი რომელია, ვეღარ გაიგებ – „ქართული ოცნება“ იგივე გზით მიდის, რომლითაც ნაციონალური მოძრაობა მიდიოდა.

ხალხმა ბევრი რამე მოუთმინა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, რომ აქ მაინც გამოიღვიძებს.

– რატომ გგონიათ, რომ ახლა გამოიღვიძებს ხალხს?

– იმიტომ გამოიღვიძებენ, რომ თავი გადაირჩინონ – ხელისუფლება მათ პირიდან ბოლო ლუკმას აცლის. კალაძემ და ივანიშვილმა ახლა თუ თავისი გაიტანეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ათეულობით ათასი ადამიანი დარჩება მშიერი. ეს ადამიანები აუცილებლად გამოვლენ ქუჩაში თავისი უფლებების დასაცავად.

ეს ისეთი მტკივნეული თემაა, რომ ახლავე შეგვიძლია დავაანონსოთ აქცია – ხელისუფლებას 2 თებერვლამდე ვაძლევთ ვადას და თუ არ შეცვლიან ამ პოლიტიკას, მთავრობის ადმინისტრაციასთან აქციას მოვაწყობთ.

დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი ადამიანი შეუერთდება ამ პროტესტს. ადამიანებს პროტესტის იქეთ გზა აღარ დაუტოვეს – შეგუების შემთხვევაში მათ შიმშილობა ემუქრება.

– 2012 წლის არჩევნების შემდეგ, მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ თქვა, რომ მას არჩევნები ტაქსისტებმა წააგებინეს. იგივე ხომ არ მეორდება?

– სავარაუდოდ, ამ გზას დაადგნენ. კიდევ გეუბნებით, ათეულობით ათასი ადამიანი ულუკმაპუროდ რჩება. ეს დიდ მღელვარებას გამოიწვევს და ხელისუფლებამ, შესაძლოა, ტაქსების რევოლუცია მიიღოს.

გია გაჩეჩილაძე: „თუ ნარკომომხმარებელს აღმოაჩნდა ნებისმიერი დოზა, ის ნარკორეალიზატორად უნდა ჩაითვალოს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გია გაჩეჩილაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაციაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ პარლამენტი და ქვეყანა ცუდ დღეში ჩააგდო.

გია გაჩეჩილაძე:

– მწვანეთა პარტიის დამოკიდებულება ნარკოტიკებთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ცნობილია. ჯერ კიდევ 2009 წელს ერთადერთი პარტია ვიყავით ჩვენ, რომელმაც გამოაქვეყნა ოფიციალური მონაცემები სააკაშვილის ხელისუფლების ნარკობიზნესთან კავშირების შესახებ.

მაშინდელმა ხელისუფლებამ საქართველო გადააქცია ჰეროინის ტრანზიტულ ქვეყნად. ინტრავენური (პირდაპირ ვენაში) მომხმარებელი 80 ათასი ადამიანი იყო, რომელიც ძლიერ ნარკოტიკებს მოიხმარდა. იმ პერიოდში ფესვგადგმული იყო შავი მაფიოზური ბიზნესი, რომლითაც ძალიან დიდი ფული იშოვეს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა.

– იმ ნარკობიზნესიდან სააკაშვილის ხელისუფლებას რა რჩებოდა?

– ძნელი სათქმელია. ალბათ, ცალკე ტრანზიტიდან რჩებოდათ, ცალკე – რეალიზაციით. ძირითადად იჭერდნენ ნარკომომხმარებლებს. ნარკორეალიზატორებს კი არ ეხებოდნენ.

2012 წლიდან, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებით, საქართველოზე გამავალი ნარკოტრასა ჩაიკეტა. გაეროს მონაცემებით, საქართველოზე ნარკოტრასა აღარ გადის.

ავღანური ჰეროინის საქართველოზე გამავალი ტრასა დაკეტილია. შეგიძლიათ ნახოთ ამერიკისა და გაეროს მადლობები საქართველოს ხელისუფლების მისამართით, ავღანეთიდან მომავალი ნარკოტრასა რომ გადაიკეტა. ეს არ ნიშნავს, რომ ნარკოტიკი არ შემოდის.

– ვის შემოაქვს?

– ცალკეულ პიროვნებებს, ჯიბით თუ სხვადასხვა ხერხებით საზღვარზე გადმოტანით, მაინც ხდება ნარკოტიკის შემოტანა, მაგრამ დიდი მასშტაბის ჰეროინის შემოსატანი ტრასა ჩაიკეტა. ამით ჩვენ ევროპასაც დავეხმარეთ და უკრაინასაც.

– დიდი ოდენობით ნარკოტიკების შემომტანი ტრასა ჩაიკეტა, თუმცა, განარკომანებული საზოგადოება რჩება.

– სხვათა შორის, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებებში ეწერა, გარდა იმისა, რომ 80 ათასი ინტრავენური მომხმარებელია, ისე ნარკომანთა რაოდენობა 200 ათასიდან 250 ათასამდეა, რომელშიც შედის სააფთიაქო ნარკომანია, მარიხუანის მოხმარება და სხვა. წარმოიდგინეთ, რა მემკვიდრეობა დაგვხვდა. ნარკომანია ხომ დაავადებაა, რომლის განკურნება ძალიან რთულია.

– ნარკომანია დაავადება კი არის, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილი ამბობს, რომ ადამიანი მის სხეულს, როგორც უნდა, ისე მოექცევა. ასეთი დამოკიდებულება რას ნიშნავს და სადამდე მიგვიყვანს?

– ეს როგორ შეიძლება. წარმოიდგინეთ, ძლიერი ნარკოტიკის ერთი დოზა თუ ღირს 100 ან 200 დოლარი, მომხმარებელმა ფული ხომ უნდა იშოვოს? ნარკოტიკების მოხმარება დაკავშირებულია კრიმინალთან. ჩემთან უამრავი ადამიანი მოდიოდა, რომელიც მეუბნებოდა, რა ვქნათ, რა გვეშველება, ოჯახები დაგვინგრიეს, ყველაფერი გაზიდესო. ნარკოტიკის მოხმარება მხოლოდ პიროვნების ტრაგედია კი არ არის, არამედ საზოგადოების ტრაგედიაა, კრიმინალთანაა დაკავშირებული, რასაც უბედურება მოაქვს. ნარკოტიკის მოხმარება დაკავშირებულია ასევე „ც“ ჰეპატიტისა და სხვა დაავადებების გადატანასთან.

– სააკაშვილის რეჟიმი მხოლოდ ნარკომომხმარებლებს იჭერდა, ნარკოგამსაღებლები მშვენივრად გრძნობდნენ თავს. საზოგადოებამ ამას უწოდა რეპრესიული ნარკოპოლიტიკა. ამბობენ, რომ ეს რეპრესიული ნარკოპოლიტიკა, ნარკოტიკების ჩადებები გრძელდება. ამაზე რას იტყვით?

– არ ვიცი, ზუსტად რა ხდება, მაგრამ ჩადებები რაღაცნაირად ერთგვარი თავის მართლების საშუალება გახდა. ამ ქვეყანაში არავითარი ჩადებები არ ხდება. ვიღაცას ნარკოტიკს რომ აღმოუჩენენ, თავის გამართლების მიზნით შს ორგანოებს აბრალებს. ჩემთვის ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია.

– როგორ უნდა მოვაგვაროთ ეს პრობლემა?

– დიდი გამოცდილება არსებობს საერთაშორისო დონეზე. უამრავი ქვეყანაა, რომელიც ნარკოტიკის მოხმარებასაც ებრძვის და ნარკორეალიზაციასაც, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარება ძალიან რთულია.

– პარლამენტში კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია, რადგან დღეს ქვეყანაში ნარკომომხმარებლებისთვის სარეაბილიზაციო ცენტრები არ არსებობს და მკურნალობა როგორ უნდა განხორციელდეს?

– ვერავითარი კანონი ნარკომომხმარებლების რეაბილიტაციაზე ვერ იმუშავებს, თუ სარეაბილიტაციო ცენტრები არ იქნება. კანონში ეს გათვალისწინებული იქნება და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნამდე კანონის გარკვეული

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შალვა ხაჭაპურიძე: „ერთი აბი სუბოტექსისთვის ადამიანი ციხეში არ უნდა გაუშვა“

ნონა ცაბაძე

ნარკოპოლიტიკის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველი, იურისტი შალვა ხაჭაპურიძე პასუხობს.

– ბატონო შალვა, ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა ეს ის საკითხია, რომელიც ბოლო პერიოდია აქტუალურობას არ კარგავს. საზოგადოება თანხმდება იმაზე, რომ კანონი მკაცრია და ის ლიბერალიზაციას საჭიროებს. ორი დღის წინ სასამართლომ მსახიობ გიორგი გიორგანაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რამაც საზოგადოების დიდ ნაწილში სერიოზული აღშფოთება გამოიწვია. როგორია თქვენი, როგორც იურისტის და უფლებადამცველის შეფასებები?

– ბოლო პერიოდია აქტიურად ვაკვირდები დისკუსიებს ამ საკითხზე. ძალიან ცუდია, რომ ვერ ახერხებს ხელისუფლება იმის ახსნას საზოგადოებისთვის თუ რას აპირებს. ხომ შეიძლება გამოიტანოს სააშკარაოზე, თუ რაზე მიდის საუბარი?! ავიღოთ თუნდაც 23 იანვრის განაჩენი, ბევრი წერს, რომ საუბარია 0,0 რაღაცა რაოდენობის ნარკოტიკის გამო კაცს 8 წელი როგორ მისცეს. მოგვიანებით სოციალურ ქსელებში გაჩნდა ახალი ინფორმაციები, რომ ჰქონდა 45 აბი სუბოტექსი, ზოგი 60 აბზე საუბრობს. გარდა მაგისა, ძალიან ბევრი საკითხია კიდევ მოუწესრიგებელი.

– კერძოდ, რა საკითხებს გულისხმობთ?

– თუნდაც იგივე ექსპერტიზის საკითხებს სტანდარტული ნიმუშებისთვის. რომ დაადგინო, ესა თუ ის ნივთიერება არის თუ არა ნარკოტიკული საშუალება, ამისთვის აუცილებლად უნდა გქონდეს სტანდარტული ნიმუში. სტანდარტულ ნიმუშს საქართველო ვერ აწარმოებს, ეს უნდა შეიძინოს. სულ რამდენიმე ფირმაა ევროპაში და იმათგან.

ამდენი ნარკოტიკია შემოსული, მით უმეტეს, ეს სინთეზური ნარკოტიკები და ამის სტანდარტული ნიმუშები, სასამართლო პროცესებზე ექსპერტებს რომ ვეკითხებით, არა გვაქვსო. გამოდის, რომ დასკვნები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ, ყალბია. ასევე ვერ განისაზღვრა, რა დოზა შეიძლება ჩაითვალოს, რომ პიროვნებას მოხმარებისთვის ჰქონდა და ის უნდა დაისაჯოს, როგორც მომხმარებელი. თუ ამ რაოდენობაზე მეტი იქნება, მაშინ ის უნდა ჩაითვალოს გასაღების ფაქტად, ოღონდ ეს რაოდენობა კანონით უნდა იყოს განსაზღვრული. ეს ყველაფერი კანონის სახით უნდა დამუშავებულიყო.

– როგორ არის დღეს მოქმედი კანონმდებლობით?

– დღეს მოქმედი კანონმდებლობით ძალიან მარტივად არის. ეს კანონი თავის დროზე თარგამაძემ მიაღებინა შევარდნაძეს და განისაზღვრა ყველაზე მკაცრი მუხლი თუ რამ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში, ეს არის ნარკოტიკების შესახებ კანონში გათვალისწინებული მუხლები და მისი სანქციები. წარმოუდგენელ სანქციებზეა საუბარი. სულ რამდენიმე დღის წინ მქონდა მსგავსი საქმე, საუბარია 5 თუ 6 ტაბლეტზე და მოსამართლემ მიუსაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მეორეს მიუსაჯეს 8, იმიტომ, რომ მინიმუმი 8 წელია. ბევრ მოსამართლეს კარგად ვიცნობ და რომ ვეკითხები, ამას რას აკეთებ?! რა გავაკეთო, კანონით გვაქვს ხელ-ფეხი შეკრულიო. ის მოსამართლე, გიორგანაშვილს რომ 8 წელი მიუსაჯა, ქალმა იმ საღამოს ვიტირე, მეც ნერვები დამეგლიჯაო, ქალმა მითხრა. გადასარევი მოსამართლე და არაჩვეულებრივი პიროვნებაა. რა ვქნაო?! არავის არ უნდა იმის გაგება, რომ შესაცვლელია კანონი. პარლამენტია აქ ყველაფერში თავი და თავი.

– პარლამენტი ხომ მუშაობს ახალ კანონპროექტზე, რომელიც ზედმეტად ჰუმანურობის გამო დაწუნებულ იქნა?

– რაც თავი მახსოვს, სულ ახალ კანონზე მუშაობენ, რით ვერ მიიღეს ეს კანონი?! გიგი წერეთელი წლების განმავლობაში გვეუბნებოდა, მზადდება, მზადდებაო და რით ვერ მომზადდა? არის ეგეთი მეცნიერი ზაზა ბეროზაშვილი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორია. ის ხელმძღვანელობდა ამ ჯგუფს, გაამზადა ეს კანონპროექტი, სწორედ მაშინდელი გამზადებული კანონპროექტია, თუ ვინმეს ჰგონია, რაიმე ახალი გამზადდა, ცდება. შესაძლოა მცირე ცვლილებები შევიდა. იქ იყო კიდევ ერთი მომენტი, როგორც კი მოვიდნენ სააკაშვილი–ადეიშვილი ხელისუფლებაში, მაშინვე სისხლის სამართლის კოდექსიდან 51-ე მუხლი ამოიღეს.

– რას ითვალისწინებს 51-ე მუხლი და რატომ ამოიღეს?

– პროკურორი რომ იტყოდა, მიუსაჯეთ პატიმრობაო, მოსამართლეს ძველი კოდექსით შეეძლო მიესაჯა ამ პიროვნებისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ მისი პიროვნული მახასიათებლების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, შეეძლო ამ 8 წელიდან 2 წელი მიეცა ციხე და დანარჩენი პირობითი. ადეიშვილმა მოსამართლეებს წაართვა ეს უფლება, კორუმპირებულები ხართ მოსამართლეები, თქვენი გაკონტროლება ძნელი იქნება და მხოლოდ პროკურორის საპროცესო შეთანხმებით მისცეს პირობითი. ნახეთ, რა პრინციპია დარღვეული? მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპი! ანუ სასამართლოს თავზე აზის პროკურატურა! გიორგანაშვილის საქმე რომ ავიღოთ, მოსამართლეს რა უნდა ექნა? ან უნდა მიესაჯა, ან უნდა გაემართლებინა.

– ვერ გაამართლა?

– გასამართლებელი ვერაფერი ნახა საქმეში, იმიტომ, რომ ამდენი ტაბლეტია ამოღებული. მოწმეც ამბობს, კი ბატონო, დავინახე, როგორ გაჩხრიკეს და ამოუღესო. ეს კაცი ყვირის, არა, ჩამიდეს პოლიციელებმაო. ამის მტკიცებულება ადვოკატმა პროცესზე ვერ წარმოადგინა, დაცვის მხარემ. რა უნდა ექნა მოსამართლეს, სახლში ხომ ვერ აიყვანდა? მიუსაჯა მინიმუმი! ამ მუხლის მინიმუმი არის 8 წელი. ამაზე ქვევით ვერ ჩამოდის პროკურორის ნებართვის გარეშე. პროკურორი მივიდა ბახალასთან და უთხრა: გიფორმებ 1 წელს და საპროცესოს და დამთანხმდიო, იმან უთხრა, არაო. ამიტომ მივდივართ ასეთ სიტუაციამდე. იცით რამდენი ხალხია ასე ციხეებში?! ამ ოდენი ნარკოტიკისთვის ორი დღის წინ 17 წელი მიუსაჯა ხელვაჩაურის რაიონულმა სასამართლომ!

– რისი თქმა გინდათ, კანონი უკიდურესად მკაცრია?

– ნახეთ რა ხდება? თუ შენ საზღვარზე შემოიტანე დიდი რაოდენობით ნარკოტიკი, ანუ საზღვარი და გასაღება, სადაც გიდგინდება, ამ შემთხვევაში შენი დანდობა არ უნდა მოხდეს! 17 წელი ცოტაა შენთვის! შენ ხარ მკვლელი! თითოეული ის ტაბლეტი კლავს კაცს! მე განახებთ ადამიანებს, ამის მოხმარებით უკვე ცოცხალი მკვდრები რომ არიან! ერთ-ერთის გასვენებაა ახლა, ამ შაბათ-კვირას. ახალგაზრდა, 37 წლის ბიჭის. გაიკეთა და მოკვდა. ამის შემომტანი და გამსაღებელი პოტენციური მკვლელია! დღეს არ მოკლავს, ხვალ მოკლავს!

– ანუ უნდა გაიმიჯნოს კანონში, შემოტანა–გასაღებზე გამკაცრდეს და მოხმარებაზე შერბილდეს კანონი?

– დიახ, უნდა გაიმიჯნოს. შემოტანაზე ამაზე მეტი რაღა უნდა გამკაცრდეს, უვადო პატიმრობაა. მოვისმინე ზოგიერთისგან გამკაცრდესო და მეტი რაღა? უვადოს რომ მიუსჯი და მოკვდება ციხეში, მერე დავწვათ? თუ რას გულისხმობს კიდევ უფრო გამკაცრება?! ძალიან ხშირად უაზრო განცხადებებს ვისმენთ. შემოტანაზე მინიმუმი სანქცია არის 15 წლიდან. მე მგონი, საერთოდ არაფერი უსწავლია ამ ხალხს. განსაზღვრა უნდა მოხდეს. ვთქვათ, უპოვეს კაცს ჯიბეში ერთი აბი სუბოტექსი, თქვი, რომ ეს არის მოხმარებისთვის. ასეთი ადამიანი ციხეში არ უნდა გაუშვა.

– ამას იზიარებთ, რომ მოხმარებისთვის ციხე არ უნდა იყოს?

– დიახ. უბრალოდ საცოდაობაა, ამ ხალხის ციხეებში გაშვება. მე არ მინახავს მომხმარებელი, ან გინდაც გამსაღებელი, ციხეში ზის და იმაზე ჯავრობს, დედა, ეს რა მომივიდაო. თუ მომხმარებელია, იმაზე ფიქრობს, როდის გავა, რომ ისევ გაიკეთოს. ის რომ ციხეში მკურნალობა ხდება და ასე შემდეგ, საქართველოს ციხეები მაგისგან ძალიან შორს არის. საქართველო კი არა ბევრ სხვა ქვეყნის ციხეში, თუ გინდათ ამერიკის, პირის გამოსწორება, ეს ზღაპარია. უნდა განისაზღვროს და აი ამაზე მეტი ვისაც აქვს, ის უკვე გადის გამსაღებელთა კატეგორიაში.

23 იანვრის საქმეზე არ ვიცი, სიმართლე რომელია და ახლა, ერთი „მეშოკი“ თუ გიდევს ჯიბეში და თან ვერ ამტკიცებ, რომ ეს ჩადებულია, რა უნდა ქნას მოსამართლემ?! გამოძიების გასარკვევია, ჩადებული იყო თუ არა და იმედია, გაარკვევენ. თუმცა ხშირია შემთხვევები, როცა მინიმალური რაოდენობის უპოვეს და ამისთვის სხედან ადამიანები და სასჯელს იხდიან. სავსეა ციხეები ნაციონალების დროს დაჭერილი ხალხით, პეტრემ რომ თქვა პავლეზე, ამან მომყიდა ნარკოტიკიო. არც შეწყალების კომისიაა ამ ხალხისთვის. ეს მარგველაშვილი ხომ აუღებელი ციხესიმაგრეა.

– რას გულისხმობთ?

– ვისაც უნდა, იმას იწყალებს და ვინც მის ინტერესში არ შედის, ფეხებზე ჰკიდია. გვარებს დავუსახელებ თუ უნდა, ვინ ჰყავს შეწყალებული და ვის შეწყალებაზე თქვა უარი!

კვიპროსის მთავრობამ კვიპროსში ქართული მონასტრის ასაშენებლად საქართველოს 12.595 კვ.მ მიწა აჩუქა

კვიპროსის მთავრობის და კვიპროსის ეკლესიის მთავარეპისკოპოს ხრიზოსტომოს II-ის გადაწყვეტილებით, საქართველოს კვიპროსის რესპუბლიკაში სამონასტრო მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადმოეცა.

კვიპროსის რესპუბლიკაში, კვიპროსის ეკლესიისა და კვიპროსის სახელმწიფოს გადაწყვეტილებით, საქართველოს 12.595 კვ.მ მიწის ფართობი უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადმოეცა, სადაც ევროპაში ყველაზე მასშტაბური ქართული სამონასტრო კომპლექსი აშენდება.

დიალოგი მხარეებს შორის აღნიშნული ქონების საქართველოს მხარისათვის საჩუქრად გადმოცემის თაობაზე რამდენიმე წელი მიმდინარეობდა და დოკუმენტს კვიპროსის მხარემ 2018 წლის 4 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის დაბადების დღეზე მოაწერა ხელი.

– კვიპროსთან საქართველოს კავშირები გულისხმობს ძლიერ ისტორიას. მნიშვნელოვანია, რომ დღეს ეს ძლიერი კავშირები ცოცხლდება და ახალ ენერგიას იძენს. კვიპროსის რესპუბლიკასთან ჩვენი კავშირები, მით უფრო ამ ნიადაგზე კიდევ უფრო ძლიერს გახდის ორმხრივ ურთიერთობებს და თანამშრომლობას ჩვენს სახელმწიფოებს შორის, – განაცხადა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა გაბუნიამ.

– ეს არის უნიკალური შემთხვევა, როდესაც გამონაკლისის სახით საქართველოს საკუთრებაში ახალი 13.000 მ მიწის ნაკვეთი უსასყიდლოდ გადმოეცა. ამასთან, კვიპროსის სახელმწიფომ ქართული ეკლესია ზემოაღნიშნული ქონების გადასახადისგან გაათავისუფლა, – აღნიშნა შეხვედრაზე ხონისა და სამტრედიის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე საბა გიგიბერიამ.

საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლის კვიპროსის რესპუბლიკაში დეკანოზ ზაქარია ფერაძის განმარტებით, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ეკლესიას ექნება სრული იურისდიქცია.

– კვიპროსის ეკლესიისა და კვიპროსის მთავრობის საბჭოს გადაწყვეტილებით, აშენდება დიდი ქართული სამონასტრო კომპლექსი. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს ეკლესიას ექნება სრული იურისდიქცია, – განაცხადა ზაქარია ფერაძემ.

მან ასევე ამ საქმეში კვიპროსში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, რევაზ ლომინაძის დიდი წვლილი აღნიშნა.

– გვსურს საგანგებოდ აღვნიშნოთ კვიპროსში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონ რევაზ ლომინაძის განსაკუთრებული როლი დიპლომატიურ საქმიანობაში და მადლობას ვუხდით მას საქართველო-კვიპროსის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის. აღსანიშნავია მისი დიდი დამსახურება საქართველოსთვის კვიპროსის მხრიდან ზემოხსენებული ქონების გადაცემის პროცესში. ცხადია, რთული იქნებოდა ასეთი შედეგის მიღება, რომ არა ქართველი დიპლომატის განსაკუთრებული ყურადღება კვიპროსში ისტორიული ქართული კერებისადმი და ქართული სათვისტომოსადმი, – განაცხადა დეკანოზმა ზაქარია ფერაძემ.

– ამ ფაქტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ კვიპროსის ეკლესია და მთავრობა ერთად, სრულ სინქრონში მუშაობდნენ ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად. ეს მოვლენა უმნიშვნელოვანესია ჩვენი მომავალი თაობისთვის არა მხოლოდ საქართველო-კვიპროსის ურთიერთობებისთვის, არამედ ქართველი ერის საგანმანათლებლო ფუნქციის აღდგენის დასაბამისთვის, – აღნიშნა ელჩმა.

გია გაჩეჩილაძე: „თუ ნარკომომხმარებელს აღმოაჩნდა ნებისმიერი დოზა, ის ნარკორეალიზატორად უნდა ჩაითვალოს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

მუხლები ძალაში არ შევა. ნარკომომხმარებლებს მივცემთ საშუალებას, გამოჯანმრთელების გზას დაადგნენ. ნარკომომხმარებელი იმას კი არ ნიშნავს, რომ მთლიანად გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ადმინისტრაციული სასჯელი მაინც დარჩება – ან ჯარიმა იქნება, ან სხვა რამ. ზოგიერთ ქვეყანაში მართვის მოწმობას ართმევენ, ზოგ ქვეყანაში აჯარიმებენ, მაგრამ ქუჩაში კი არ უშვებენ, ან ნებაყოფლობით სამკურნალოდ ამწესებენ, ან კიდევ – იძულებით.

– საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო მარიხუანას დეკრიმინალიზაციის გადაწყვეტილება.

– საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ცუდ დღეში ჩაგვაგდო. საქართველოში ნარკომომხმარებლებს უკვე აღარ იჭერენ. ამიტომ ახლა ყველაფერი კანონის ფარგლებშია მოსაქცევი. ძირითადი პრობლემაა, როგორ გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, როდის არის ადამიანი ნარკომომხმარებელი და როდის არის ნარკორეალიზატორი. თუ ადამიანს ჯიბეში, მანქანაში, ან სახლში 2 დოზა ნარკოტიკს აღმოუჩენენ, როგორ უნდა ჩავთვალოთ, ეს პირადი მოხმარებისთვისაა თუ რეალიზაციისთვის, ანუ რეალიზატორია თუ მომხმარებელი? ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში ნარკოტიკების უზარმაზარი ნუსხები აქვთ და მითითებული აქვთ გარკვეული დოზები, რომლის ზევით ითვლება ნარკოტიკების გამსაღებლად.

– დოზებთან დაკავშირებით თქვენ რას ფიქრობთ?

– მე ყველანაირი ნარკოტიკის წინააღმდეგი ვარ. თუ ნარკომომხმარებელს ჯიბეში ან მანქანაში აღმოაჩნდა ნებისმიერი დოზა, ის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ნარკორეალიზატორად. სხვანაირად ამის რეგულირება წარმოუდგენელი იქნება. კარგია, უწყებათაშორისი კომისია რომ შეიქმნა და ყველა შევთანხმდებით, როგორ შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მომხმარებელი ადამიანის მიმართ ჰუმანური იქნება, მაგრამ გამსაღებლების მიმართ – ძალიან მკაცრი. ასეთი კანონი საშუალებას მოგვცემს, მინიმუმამდე დავიყვანოთ ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში. ეს არის რთული ამოცანა.

– სახელმწიფოს სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნის საშუალება აქვს?

– საშუალება გვაქვს თუ არა, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს, თვალს ვერ დავხუჭავთ, ზოგი შეცდა, ზოგი ვიღაცამ შეაცდინა. ისინი ჩვენი საზოგადოების წევრები არიან და მათ მკურნალობა სჭირდებათ.

– ხშირად გაიგონებ, რომ მარიხუანა ნარკოტიკი არ არის. მარიხუანის ლეგალიზაციას ემხრობით?

– არავითარ შემთხვევაში. მე კი არ ვარ წინააღმდეგი, მარიხუანა მსუბუქად ჩაითვალოს. არსებობს გაეროს ორი კონვენცია (რომელზეც საქართველოც არის მიერთებული) ნარკოტიკებთან, მათ შორის, ფსიქოტროპული ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებით, რომელზეც გაეროს რეკომენდაციებია. სიებია, რომელშიც შეტანილია მძიმე ნარკოტიკები – ჰეროინი, მორფინი, ოპიუმი და კოკაინი. მძიმე ნარკოტიკებში შედის კანაფისი, იგივე მარიხუანა. სახელმწიფომ, რომელიც ამ კონვენციებს არის მიერთებული, სასჯელად უნდა გამოიყენოს პატიმრობა. დოკუმენტებში წერია, რომ ნარკოტიკულ საშუალებათა კულტივირება, წარმოება, დამზადება, ამოღება, მომზადება, შენახვა, შეთავაზება-გასაღების მიზნით, შეთავაზება, გაყიდვა, გაგზავნა, გადაგზავნა, ტრანსპორტირება, იმპორტირება და ექსპორტირება ჩაითვლება დანაშაულად და ეს სერიოზული დანაშაული ისჯება პატიმრობით.

– საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებისთვის ეს კონვენცია ცნობილი არ არის? რატომ მიიღეს ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც, ფაქტობრივად, მარიხუანის ლეგალიზაცია მოახდინეს?

– მთლად ლეგალიზაცია არ მოუხდენია, მაგრამ რეგულაციებში პრობლემები შეგვიქმნა. თუმცა, დავძლევთ, მოვნახავთ ამ პრობლემების მოგვარების გზას.

ყაზახეთი აშშ-ის მნიშვნელოვანი პარტნიორია ცენტრალურ აზიაში

გასული კვირის მთავარი პოლიტიკური მოვლენა ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის ოფიციალური ვიზიტი გახლდათ აშშ-ში. ყაზახეთის ლიდერი თეთრი სახლის ხელმძღვანელს, დონალდ ტრამპს შეხვდა, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე, რომელიც ეძღვნებოდა მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის საკითხს, სიტყვით წარდგა და რამდენიმე საქმიანი შეხვედრაც გამართა.

პირველების დრო

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ ხსენებული ვიზიტი გარკვეულწილად უპრეცედენტო გახლდათ. ყაზახეთის პრეზიდენტი ცენტრალური აზიის ლიდერთა შორის პირველია, რომელმაც თეთრი სახლი მოინახულა, ხოლო მისი ქვეყანა – პირველია რეგიონში, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

დონალდ ტრამპის აზრით, ყაზახეთი მეტად ანგარიშგასაწევი პარტნიორია აშშ-ისთვის, თუ გავითვალისწინებთ ამ ქვეყნის ლიდერის პოზიციას რეგიონში და მშვიდობისმყოფელის მისიას, მთლიანობაში.

– საქმე ისაა, რომ აშშ ესწრაფვის შეიძინოს ძლიერი, განვითარებული პარტნიორები – ხაზგასმით აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა, – რომლებიც პატივს სცემენ მეზობლებს და საკუთარ ბედ-იღბალსაც თავად განაგებენ. მოუთმენლად ველი იმ უზარმაზარი პროგრესის ხილვას, რომელსაც ყაზახეთის მკვიდრთ მიაღწიეს. ჩვენი სურვილია, ყაზახეთს კარგი, სუვერენული და აყვავებული მომავალი ჰქონდეს, იგივეს ვუსურვებთ მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ერს, განურჩევლად ყველას.

ნაზარბაევისა და ტრამპის შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ დადებით შედეგად შესაძლოა დასახელდეს გაფართოებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ შეთანხმებაზე ხელის მოწერა.

ბევრმა პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა ყაზახეთის ლიდერის აშშ-ში ვიზიტი სამშვიდობო მისიის განხორციელებადაც აღიქვეს. ორმხრივი შეხვედრის გარკვეული ნაწილი ავღანეთის კონფლიქტისა და ჩრდილოეთ კორეაში არსებული დაძაბული ვითარების განმუხტვისაკენ მიმართული ზომების განხილვას დაეთმო.

– ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარება მხოლოდ აშშ-თან, ჩინეთთან და რუსეთთან ერთობლივადაა შესაძლებელი – ხაზგასმით აღნიშნა ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. – ამასთან დაკავშირებით, ჩვენ, მეზობლებს, ცხადია, გვაღელვებს რუსეთისა და აშშ-ის პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც ნულოვან ნიშნულამდე დაეცა.

ეკონომიკის სფეროში სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრისას, ორი ქვეყნის ლიდერებმა დააზუსტეს, რომ ისინი სანქციებთან დაკავშირებულ საკითხებზეც აპირებენ შესაბამისი კონსულტაციების გავლას, რათა თავიდან იქნას აცილებული რაიმე გაუთვალისწინებელი არასასურველი შედეგი ყაზახეთის ეკონომიკისათვის, რაც თავისთავად გარკვეულ მოსაზრებებს ბადებს. ყაზახეთის საპასუხისმგებლო შუამავლის როლის გათვალისწინებით, რომელიც მან რუსეთისა და თურქეთის შერიგებისას შეასრულა, და ყაზახეთის ლიდერის მთავარი დებულება: „ჯერ – ეკონომიკა და შემდეგ – პოლიტიკა“, მსგავსი განცხადებები სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა.

კონტრაქტი? არის კონტრაქტი!

ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაზარბაევის ვიზიტი საკმაოდ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს. შედეგად, ყაზახეთმა გააფორმა აშშ-ის მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან 20-ზე მეტი კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება 7 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. ეს შეთანხმებები სხვადასხვა დარგს ეხება – ავიაციიდან დაწყებული, სარკინიგზო კომუნიკაციით დამთავრებული, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობისა და კოსმოსის ჩათვლით.

ყაზახეთის ლიდერის აშშ-ში ვიზიტი დადებითად შეაფასეს უცხოელმა ექსპერტებმაც. ასე, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის ფონდის „მემკვიდრეობა“ ცენტრის დირექტორმა ლუკ კოფიმ განაცხადა, რომ ზემოთ აღნიშნული ვიზიტის შემდეგ, აშშ და ყაზახეთის კავშირი ახალ ეტაპზე გადავიდა.

– ყაზახეთი აშშ-ის მნიშვნელოვანი პარტნიორია ცენტრალურ აზიაში, – აცხადებს კოფი. – ჩვენ გვაერთიანებს უამრავი საერთო გამოცდილება, ასევე საკმარისი საერთო შესაძლებლობები. ვიმედოვნებ, რომ ეს ვიზიტი იქნება პირველი ნაბიჯი ყაზახეთსა და აშშ-ს შორის დაწყებულ გრძელვადიან ურთიერთობაში... ამ ბოლო დროს ყაზახეთი უამრავი დიპლომატიური ინიციატივით გამოდის და ეს სავსებით მართებულია. მაგალითად, აღსანიშნავია ასტანაში გამართული მოლაპარაკებები (სირიის საკითხებთან დაკავშირებით – ავტ.), რომელმაც სავსებით გაამართლა მოლოდინი.

სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის დირექტორი, დენიელ რუნდე დარწმუნებულია, რომ აშშ-მ უნდა გააღრმავოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ყაზახეთთან და გაზარდოს ინვესტიციების მოცულობა.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ ყაზახეთის ხელისუფლებისთვისაც ეს საკითხი პრიორიტეტულია, – აღნიშნა მან. – აღსანიშნავია, რომ ყაზახეთში თანამედროვე საზოგადოება ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, ვიტყოდი, რომ ეს არის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული, ჯანსაღი და მდიდარი ერი... პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევის ვიზიტი მიმართულია პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებაზე.

ნდობით ბომბზე

ცხადია, ცალკე ვისაუბრებთ იმ მოხსენების შესახებ, რომლითაც ნურსულთან ნაზარბაევი გაეროს უშიშროების საბჭოს ტრიბუნიდან წარდგა: „მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა: ნდობის საზომი“. ყაზახეთი, არსებითად, თავად არის სახელმწიფო – მაგალითი იმისა, რომ ნებაყოფლობითი განიარაღება შესაძლებელია.

– გაეროს სისტემაში გატარებული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჩემმა ქვეყანამ სწრაფად და მიზანმიმართულად გაიარა გზა მსოფლიოში მეოთხე ბირთვული არსენალის მფლობელობიდან ქვეყანა-ლიდერამდე, რომელიც მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების გლობალური აღკვეთის მომხრეა, – განაცხადა ნაზარბაევმა. – ჩვენ დავხურეთ მსოფლიოს უდიდესი საცდელი ბირთვული პოლიგონი სემიპალატინსკში.

დღესდღეობით ყაზახეთი ბირთვული უსაფრთხოების სფეროში არსებული ყველა ფუნდამენტალური საერთაშორისო შეთანხმების მონაწილეა და იურიდიულად გაამყარა თავისი არაბირთვული სტატუსი.

– ჩვენ შევქმენით და გავაძლიერეთ ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყანა, მოვიპოვეთ მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი, როდესაც უარი განვაცხადეთ ბირთვულ იარაღზე და მოვიპოვეთ გარანტიები ბირთვული ზესახელმწიფოების მხრიდან, რომ ისინი არასოდეს დაგვესხმიან თავს, – განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა. – ჩვენ მოვუწოდებთ ყველა დანარჩენ ქვეყანას – მოგვბაძონ. თავის დროზე, ჩვენ მოვუწოდებდით ირანსაც, ახლა მოვუწოდებთ ჩრდილოეთ კორეასაც.

ნაზარბაევის აზრით, ქვეყნის მთავარი დამცავი ფარი მსოფლიო საზოგადოების მხრიდან ნდობაა. ხოლო მასობრივი განადგურების იარაღის წარმოება მხოლოდ ზრდის დესტრუქციული ძალების ხელში ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური იარაღის მოხვედრის საფრთხეს.

– ბირთვული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დარგში დღეს არსებული სამართლებრივი ბაზა უძლური აღმოჩნდა და ვერ აღუდგა მე-20 საუკუნის ბოლოს ზესახელმწიფოების ბირთვული კლუბის გაფართოებას, – განაცხადა ყაზახეთის ლიდერმა. – ვიმედოვნებ, რომ გაუვრცელებლობის რეჟიმის ამგვარი აუცილებელი გამყარება, რომელიც ემყარება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებას, მოითხოვს ღრმა მენტალურ ცვლილებებს, ახალ მრავალმხრივ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

ამისათვის ყაზახეთის პრეზიდენტმა შემდგომი წინადადება წამოაყენა: ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ შეთანხმებიდან გამოსვლის გართულება; გაეროს უშიშროების საბჭოს სპეციალური რეზოლუციის შემუშავება, სადაც გაწერილი იქნება მკვეთრად განსაზღვრული შედეგები იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც დაარღვევენ აღნიშნულ შეთანხმებას, იძულებითი და სანქცირებული ღონისძიებების ჩათვლით.

– აუცილებელია შევიმუშაოთ მასობრივი განადგურების იარაღის შეძენისა და გავრცელების საწინააღმდეგო უმკაცრესი ზომების რეალურად მოქმედი მექანიზმი, – მოკლედ აღნიშნა ნაზარბაევმა. – მსგავსი მრავალმხრივი შეთანხმებები ცალკეული რეზოლუციების სახით უნდა დამტკიცდეს გაეროს უშიშროების საბჭოზე.

მთავარი აღმკვეთი ზომის სახით იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ნებაყოფლობით აცხადებენ უარს ბირთვული იარაღის ფლობაზე და რომელთაც გააჩნიათ არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსი, შესთავაზეს ბირთვული ზესახელმწიფოების სამართლებრივი ვალდებულებების საგარანტიო სისტემის განვითარება. ყაზახეთის პრეზიდენტის განცხადების თანახმად, ასევე მართებულია უარი ვთქვათ წარსულში ეგზომ პოპულარულ სამხედრო ბლოკებში ქვეყნების გაერთიანებაზე.

– მსოფლიო საზოგადოება ერთიანი ორგანიზმია, რომელიც გვაოცებს საკუთარი მრავალფეროვნებითა და მრავალწყობილებით, – სიტყვის ბოლოს განაცხადა ნაზარბაევმა. – მას შეუძლია გადარჩეს და განვითარდეს პლანეტაზე დასახლებულ ერთა შორის ბალანსისა და ჰარმონიის არსებობისას. ამიტომაც, ჩვენ ერთობლივად უნდა მივაღწიოთ უსაფრთხო მსოფლიოსა და სამართლიან მსოფლიო წესრიგს, რომლის საფუძველი იქნება კანონის უზენაესობა. მჯერა, რომ მსოფლიო საზოგადოების ნდობა, სურვილი და გონიერება, გაჯერებული კოლექტიური ქმედებების ენერგიით, არ მისცემს უფლებას ჩვენს პლანეტას, გლობალური კატასტროფის მორევში ჩაეფლოს.

ინფლაცია 2018 წელსაც მიზნობრივზე მაღალი იქნება

დეკემბრის თვეში ინფლაციის წლიურმა დონემ 6.7% მიაღწია, ეს წლის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლისთვის მიზნობრივი ინფლაცია 4% -ის ფარგლებში იყო განსაზღვრული. როგორც პარლამენტში, ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხილვისას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა, კობა გვენეტაძემ განმარტა, მიზნობრივ მაჩვენებელთან შედარებით, მაღალი ინფლაცია ერთჯერადმა და ეგზოგენურმა ფაქტორებმა გამოიწვია. რისი ამოწურვის შემდეგაც, ეროვნული ბანკი მოახერხებს მიზნობრივ მაჩვენებელთან დაახლოებას.

– მოგეხსენებათ, რომ ეროვნული ბანკის მთავარი ამოცანაა შეინარჩუნოს ფასების სტაბილურობა, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სტაბილური დასაქმების აუცილებელი წინაპირობაა. 2017 წელს ინფლაცია, ერთჯერადი ფაქტორების გამო, 4% მიზნობრივი მაჩვენებლის ზემოთ ნარჩუნდება. 2017 წლის პირველ ნახევარში ინფლაციას ზრდის ტენდენცია ჰქონდა და ივნისში მან 7.1 პროცენტიან მაჩვენებელს მიაღწია. ამის შემდეგ ინფლაციამ შემცირება დაიწყო და სექტემბერში 6.2% შეადგინა. 2017 წელს ინფლაციის ზრდა მეტწილად აქციზის გადასახადის ზრდას უკავშირდება, რადგანაც ეს ზრდა ერთჯერადი ხასიათისაა, 2018 წლის დასაწყისიდან, ის ინფლაციის მაჩვენებელზე არ იმოქმედებს, – განაცხადა გვენეტაძემ.

2018 წლისთვის კი მიზნობრივი ინფლაცია კიდევ უფრო დაბალ ნიშნულზეა ნავარაუდევი. 2018- 2020 წლისთვის ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3% -ის ფარგლებში განისაზღვრა. აღნიშნულ ოპტიმიზმს არ იზიარებენ ეკონომისტები, როგორც „აფბას“ ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბაირახტარი განმარტავს, ინფლაციაზე მოქმედი ფაქტორები 2018 წელსაც აქტუალური იქნება და ეროვნულ ბანკს მიზნობრივი ინფლაციის მიღწევა გაუჭირდება.

– მსუბუქად რომ ვთქვათ, 3% თარგეთი ძალიან ოპტიმისტური მაჩვენებელია. საქმე ისაა, რომ ის ძირითადი ფაქტორები, რამაც 2017 წელს ინფლაციის ამხელა მაჩვენებელი განაპირობა, 2018 წელსაც ძალიან აქტუალური იქნება. მაგალითად, ერთ-ერთი ფუნდამენტური ფაქტორი, რამაც ფასების დონის საერთო მატება გამოიწვია, იყო საწვავზე ფასების ზრდა, რაც, თავის მხრივ, გაზრდილმა აქციზის გადასახადმა გამოიწვია. წელს ჩვენ გვაქვს აქციზის იგივე განაკვეთი და იგი ერთი თვის განმავლობაში, უკვე 10 დოლარით გაძვირდა ნავთობი ბირჟებზე. არის რეალური მოლოდინი იმისა, რომ ნავთობის ფასი კიდევ გაიზრდება, რაც, ცხადია, ადგილობრივ ბაზარზეც ჰპოვებს ასახვას. კიდევ ერთი კომპონენტი, რამაც გასულ წელს ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, იყო ფასების მატება თამბაქოზე და 2018 წლის დეკემბრის თვეში თამბაქო საშუალოდ, კიდევ 10 თეთრით გაძვირდა. შესაბამისად, მოლოდინი, რომ 2018 წლისთვის ის ფაქტორები განეიტრალდება, რამაც 2017-ში ასეთი ინფლაციის მაჩვენებელი მოგვცა, გადაჭარბებულია, – მიიჩნევს ბაირახტარი.

ბაირახტარმა მონეტარულ პოლიტიკაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიზნობრივ ინფლაციასთან მიახლოების ერთადერთი საშუალება სწორად გატარებული მონეტარული პოლიტიკაა.

– ამ სიტუაციაში ინფლაციის მეტ-ნაკლებად მოსათოვკად სებ-ს მართებს ხისტი მონეტარული პოლიტიკის გატარება, ვინაიდან, როგორც აღვნიშნე, ეგზოგენური ფაქტორები, პირიქით, უარესდება. თუმცა, საშუალოვადიან პერიოდში ცენტრალური ბანკი მონეტარული პოლიტიკის შერბილებას გეგმავს, რასაც, ცხადია, აქვს ობიექტური მიზეზებიც. სები ცდილობს, მონეტარული პოლიტიკის შერბილებით ხელი შეუწყოს ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა, ამავდროულად დილემის წინაშე დგას და აუცილებელია სწორი გადაწყვეტილება მიიღოს. სებ-ის მთავარი ამოცანა ფასების სტაბილურობაა და სწორედ ამაზე დაყრდნობით უნდა იხელმძღვანელოს ცენტრალურმა ბანკმა, – მიიჩნევს ბაირახტარი.

მომდევნო წლისთვის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევას ეჭვქვეშ აყენებს პროფესორი ლია ელიავა, მისი შეფასებით, ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი საქართველოს რეალობაში ვერ ამართლებს.

– 2009 წელს საქართველოს ეროვნულ ბანკს ჰქონდა ინფლაციის თარგეთირებაზე გადასვლის მცდელობა, თუმცა წინა წლებიდან მოყოლებული, ვერ ახერხებს მიზნობრივი ინფლაციის მიღწევას. სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკები, როდესაც ისინი აცხადებენ ინფლაციის მაჩვენებელს, იქვე უმატებენ ან აკლებენ 2 %-ს, საქართველოს ეროვნული ბანკი კი ამასაც არ აკეთებს. მის მიერ გამოცხადებული ინფლაციის თარგეთი ჰგავს სადღეგრძელოს, რომელიც ვერასდროს ვერ ხორციელდება ჩვენს რეალობაში. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკი ვერც შარშან, ვერც წელს და ვერც სამომავლოდ ვერ შეძლებს მის მიერ გამოცხადებული ინფლაციის თარგეთის მიღწევას. ამას მარტივი მიზეზი აქვს – არ შეიძლება ინფლაციის თარგეთირება ისეთ ქვეყანაში, რომელსაც აქვს ღია ეკონომიკა და რომელიც სრულიად დამოკიდებულია იმპორტზე. ამ რეალობაში ერთადერთი, რაც შესაძლოა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააკეთოს, არის ის, რომ გაზარდოს რეფინანსირების განაკვეთი, პრაქტიკულად მისი სხვა ბერკეტი არის უმოქმედო და უსარგებლო. როგორც საქართველოს ეროვნული ბანკი აღიარებს და ამას თავის დოკუმენტებშიც წერს, მონეტარული პოლიტიკის გადაცემა ეკონომიკაზე ხდება 4-6 კვარტალის შემდეგ, შესაბამისად, დღეს რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს ეროვნულმა ბანკმა, მისი შედეგები ეკონომიკაზე აისახება ერთი წლის ან წელიწად-ნახევრის შემდეგ. ეს იმას ნიშნავს, რომ სებ-ის მონეტარული პოლიტიკა არის არაეფექტური საქართველოს ეკონომიკისათვის. შესაბამისად მისი გამოყენება ინფლაციის შესამცირებლად, იქნება სრულიად უშედეგო და ნულოვანი, – აცხადებს ელიავა.

ეგზოგენური ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, 2018 წელსაც მიზნობრივზე მაღალ ინფლაციას ვარაუდობს ეკონომისტი ვაჟა კაპანაძე.

– კობა გვენეტაძის ის განცხადება, რომ საერთაშორისო ფაქტორებმა გამოიწვია ქვეყანაში ინფლაციის დონის ზრდა, არის თავის მართლების უსუსური მცდელობა. თუ წელსაც გაგრძელდება იგივე პროცესები, რაც შარშან იყო, შედეგი იქნება კიდევ უფრო წარუმატებელი. მაგრამ თუ შეიცვლება მონეტარული პოლიტიკის მიმართ მიდგომები, მაგალითად, ფულის მასის მიმოქცევასთან დაკავშირებული შეზღუდვები ბევრ სხვა საკითხთან ერთად, ინფლაციის დონეც დარეგულირდება. ამ ყველაფერმა კი, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოიწვიოს ეკონომიკური ზრდის შეფერხება. სამწუხაროდ, ჩვენთვის არაა ცნობილი, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის დასაბალანსებლად, ამიტომ რთულია ვისაუბრო ამ ბერკეტების ქმედითუნარიანობაზე. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ იგივე პროცესები განვითარდება, რაც შარშან იყო, ეს ნამდვილად არ იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისთვის კარგი, – მიიჩნია ეკონომისტ ვაჟა კაპანაძეს.

ნოდარ ხადური: „სახელისუფლებო ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვაში დადანაშაულების საფუძველი არ არსებობდა“

კომპანია „სიტროენ ჯორჯიას“ სარჩელი, კონკურენციის სააგენტომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ შესაბამისი უწყებები ყველა იმ კომპანიის საქმიანობას შეისწავლიან, ვისზეც გიორგი გაჩეჩილაძის სიძის კომპანია „სიტროენი“, უკანონო ტენდერების გამო, პრეტენზიას აცხადებდა და მათთვის პრივილეგიების მინიჭებაზე საუბრობდა.

სააგენტოს უნდა გამოეკვლია, იყო თუ არა კონკურენციის სააგენტოს შესახებ კანონის მეშვიდე მუხლი დარღვეული, რაც კომპანიებს შორის შეთანხმებულ ქმედებებს გულისხმობს, ასევე კომპანიას კითხვები ჰქონდა მეათე მუხლის დარღვევასთან დაკავშირებითაც. კომპანიის წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ტენდერების დროს კონკურენციის დარღვევას ჰქონდა ადგილი.

განმარტებები გააკეთა კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ. ნოდარ ხადურის განცხადებით, მოკვლევა მხოლოდ მეშვიდე მუხლთან დაკავშირებით დაიწყება, რადგან სახელმწიფოს მხრიდან კანონის დარღვევის ფაქტი არ დადგინდა.

– არანაირი საფუძველი ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის შეზღუდვაში დადანაშაულების არ არსებობდა და ამას ადასტურებს ყველა ტენდერი, რომელიც გაასაჩივრა სიტროენმა. მეშვიდე მუხლს რაც შეეხება, რატომ არის უპრეცედენტო, არ ვიცი, აქ საუბარია ძალიან დიდ მასალაზე, თვითონ ამბობს კომპანია, რომ 128 ტენდერშია ასეთი რამ. ჩვენ დავთვალეთ – 118-ია, მაგრამ დავუშვათ 128, ამ მასალებს შევისწავლით და ვნახავთ, იყო თუ არა შეთანხმებული ქმედება. დღეისთვის ამ თვენახევრის განმავლობაში, რასაც ჩვენ ვსწავლობდით, ამის შესწავლის შესაძლებლობა ჩვენ არ გვქონდა, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

„კომერსანტის“ ექსკლუზივი – ირაკლი ლექვინაძე ბიზნესომბუდსმენად ინიშნება?!

„კომერსანტის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, დედაქალაქის მერის ყოფილი მოადგილე ირაკლი ლექვინაძე ბიზნესომბუდსმენად ინიშნება. „კომერსანტმა“ აღნიშნულის გადამოწმება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში და თავად ირაკლი ლექვინაძესთან სცადა.

მთავრობის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ, ხოლო ირაკლი ლექვინაძე კომენტარის გაკეთებისგან თავს იკავებს.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის თანამდებობა 2016 წლის ივლისიდან ვაკანტურია ანუ მას შემდეგ, რაც მაშინდელმა ბიზნესომბუდსმენმა გიორგი გახარიამ თანამდებობა დატოვა. მას შემდეგ ბიზნესომბუდსმენის მოვალეობას მისი მოადგილე ზურაბ ძნელაშვილი ასრულებს.

გიორგი ქადაგიძე ილიაუნის ბიზნესის სკოლის დეკანი გახდა

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე ილიაუნის ბიზნესის სკოლის დეკანი გახდა. ამის შესახებ ინფორმაციას ბიზნესსკოლის ფეისბუქ გვერდი ავრცელებს.

– ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დეკანის არჩევნები გაიმართა. ბიზნესის სკოლის ფაკულტეტის საბჭოს 35-ვე წევრის გადაწყვეტილებით, ბიზნესის სკოლის დეკანის პოზიციაზე გიორგი ქადაგიძე აირჩიეს. გიორგი ქადაგიძე 2016 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სრული პროფესორია.

2009-2016 წლებში იგი იყო საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს თავმჯდომარე და ბანკის პრეზიდენტი; იგი ასევე იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მმართველი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ალტერნატიული მმართველი და შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მმართველი საქართველოს მხრიდან, – აღნიშნულია ბიზნესსკოლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი კვირიკაშვილმა დავოსში ვიზიტი შეაჯამა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ქართული დელეგაციის ვიზიტი შეაჯამა. მისი თქმით, ქართულ დელეგაციას წარმატებული და პროდუქტიული ვიზიტი ჰქონდა.

გვქონდა ძალიან კონკრეტული შეხვედრები, რომლებიც კონკრეტულ შედეგებზე იყო ორიენტირებული. ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც გამოიხატა, არის ის, რომ ყველა კომპანიის წარმომადგენელი, ინვესტორი, ვისაც ჩვენ შევხვდით, განიხილავს საქართველოს, როგორც ჩვენს რეგიონში რეგიონული წარმომადგენლობის გახსნის ძალიან სწორ ადგილს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ პრაქტიკულად ვიწყებთ იმ შეთანხმებების რეალიზებას, რომლებსაც მივაღწიეთ ევროკავშირთან, ჩინეთთან და ა.შ.

ჩვენ გვქონდა კონკრეტული შეხვედრები, იყო რამდენიმე მსხვილი ინდური კომპანია. მაგალითად, შემიძლია დავასახელო მსოფლიო მასშტაბის კომპანია წიპრო, რომელიც განიხილავს საქართველოში წარმომადგენლობის გაკეთებას, რათა სერვისები შესთავაზოს საქართველოდან სხვა ქვეყნებს. ასევე, იყო ამერიკული მსხვილი კომპანია ჰილლწოოდ-ი, რომელიც არის ლოგისტიკის სფეროში ძალიან მსხვილი მოთამაშე და საქართველოს რეგიონული წარმომადგენლობისთვის სწორ ქვეყანად განიხილავს.

ასევე იყო პოლიტიკური შეხვედრები. რამდენიმე წუთის წინ დავასრულეთ შეხვედრა ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტ მაროშ შევჩოვიჩთან. ვისაუბრეთ ენერგეტიკის სფეროში რეგიონულ პროექტებზე, ასევე – საქართველოს ენერგოკავშირში გაწევრიანების შემდეგ ჩვენ მიერ გადასადგმელ ნაბიჯებზე. შევხვდით პრეზიდენტ ილჰამ ალიევს. გვქონდა ძალიან საინტერესო საუბარი მომავალ პროექტებზე. საინტერესო შეხვედრა შედგა ყირგიზეთის პრემიერ-ministრთან.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პანელზე, სადაც სიტყვით გამოვედი, აბსოლუტურად ყველა მონაწილემ აღნიშნა საქართველოში არსებული პროგრესი და ამ პროგრესის მნიშვნელობა არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ ჩვენი რეგიონისთვის, რომელშიც ვიმყოფებით.

ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ, დავოსში ჩამოსვლამდე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტთან მქონდა ძალიან საინტერესო შეხვედრა და საქართველო იწყებს მომზადებას, დაახლოებით 2030 წლის პერსპექტივისთვის, რათა მოვამზადოთ ქვეყანაში ყველაფერი, რომ ზამთრის ოლიმპიური თამაშები საქართველოში ჩავატაროთ. ეს ძალიან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ეს ასევე მოიტანს უამრავ ახალ ინვესტიციას, ახალ სამუშაო ადგილებს და საქართველოს კიდევ ერთხელ წარმოაჩენს საერთაშორისო მასშტაბით.

შთაბეჭდილება, რომელიც აბსოლუტურად ყველას დარჩა იმ კომენტარებიდან, რომლებიც მოვისმინეთ, არის ის, რომ საქართველო განვითარების ძალიან სწორ გზას ადგას, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გერმანიაში სათამაშოების გამოფენაში 3 ქართული კომპანია მიიღებს მონაწილეობას

2018 წლის 31 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, გერმანიაში, ქალაქ ნიურნბერგში, სათამაშოების გამოფენაზე „შპიელწარენმესსე 2018“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ორგანიზებით სამი ქართული კომპანია – შპს „კოდალა“, შპს „ჯეოთოიზ“ და შპს „თამაშობანა“ მიიღებს მონაწილეობას.

როგორც „კომერსანტს“ ეკონომიკის სამინისტროდან აცნობეს, სათამაშოების წარმოების კუთხით ეს ღონისძიება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟულია, რომელშიც 60 ქვეყნიდან, 2.850-ზე მეტი სათამაშოების მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს. ვიზიტორების რაოდენობა კი ყოველწლიურად დაახლოებით 73.000-ს შეადგენს.

სათამაშოების გამოფენაზე – „შპიელწარენმესსე 2018“ მონაწილეობის მიზანი ქართული კომპანიების ხელშეწყობა და უცხოელ პოტენციურ პარტნიორებთან და დამკვეთებთან ბიზნესკავშირების დამყარებაა.

შეგახსენებთ, რომ „აწარმოე საქართველოში?ექსპორტის“ მიმართულების მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.



კონკურენციის სააგენტომ „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარი დაუშვებლად ცნო

კონკურენციის სააგენტომ შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივარზე მოკვლევა არ დაიწყო და „სიტროენ ჯორჯიას საჩივარი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის დარღვევასთან დაკავშირებით, დაუშვებლად ცნო.

აღნიშნულთან დაკავშირებით კონკურენციის სააგენტო განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.

– 2017 წლის 12 დეკემბერს, შპს „სიტროენ ჯორჯიამ“ კონკურენციის სააგენტოში წარმოადგინა საჩივარი, რომლის თანახმადაც, ყურადღება გამახვილებულია 6 ეკონომიკური აგენტის – შპს „სტრადა მოტორსის“, შპს „იბერია ავტოს“, სს „ჰიუნდაი ავტო“ საქართველოს, შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, შპს „ჯი-თი მოტორსის“ და სს „ფრანს ავტოს“ მიერ შეთანხმებულ მოქმედებაზე, რაც კონკურენციას მნიშვნელოვნად ზღუდავს (კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის სავარაუდო დარღვევა).

მომჩივანი ასევე მიუთითებდა კონკურენციის მნიშვნელოვან შეზღუდვაზე (კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევა). მისი პოზიციით, მოპასუხე 3 შემსყიდველი ორგანიზაცია – სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კონკრეტულ სახელმწიფო შესყიდვებში ზემოხსენებულ ეკონომიკურ აგენტებს უპირატესობას ანიჭებდნენ და მომჩივანი კომპანიის საქმიანობას აფერხებდნენ.

წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე დაიწყო წარმოება მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე კონკურენციის სააგენტომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები დამატებითი ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების კუთხით.

კერძოდ, საჩივარი გადაუგზავნა მოპასუხე კომპანიებსა და სახელმწიფო უწყებებს, მიიღო და გააანალიზა მათი საპასუხო პოზიციები; გამოითხოვა შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან, შემოსავლების სამსახურისგან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსგან, საქპატენტისგან, იმ კომპანიების/უწყებებისგან, რომლებმაც მოითხოვეს შპს „სიტროენ ჯორჯიას“ შავ სიაში შეყვანა და სხვა. ამავდროულად, თავად მომჩივანისგან რამდენჯერმე გამოითხოვა სხვადასხვა შინაარსის დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები.

კონკურენციის სააგენტომ დაამუშავა მიღებული ინფორმაცია და დაადგინა შემდეგი:

მოკვლევის დაწყების საფუძველი არ არსებობს და საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, „კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის ნაწილში (სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ კონკურენციის დარღვევა), შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

1) შპს „გარდაბნის თბოსადგური“ არ არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. შესაბამისად, მასზე ვერ გავრცელდება მე-10 მუხლი, რომლის სავარაუდო დარღვევის თაობაზე კომპანიის მიმართ მოკვლევა ვერ დაიწყება;

2) სსიპ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მიმართ მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის ძირითად საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საჩივარში აღნიშნული 3 ტენდერი 2016 წლის ნოემბერში უკვე იყო გასაჩივრებული კონკურენციის სააგენტოში, სააგენტომ არ დაიწყო მოკვლევა და ეს გადაწყვეტილება კომპანიას არ გაუსაჩივრებია. არ არსებობს არც ერთი ახლად აღმოჩენილი გარემოება და ასეთ შემთხვევაში, იმავე დავის საგანზე მოკვლევის დაწყებას კონკურენციის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

რაც შეეხება ამავე უწყების მიერ 2017 წლის ოქტომბერში გამოცხადებულ ტენდერს (რომელიც არ იყო მოცული სააგენტოს ხსენებული გადაწყვეტილებით), შემსყიდველმა ორგანიზაციამ, სატენდერო მოთხოვნებიდან ამოიღო „ქრაშ ტესტი“, მათ შორის, კომპანია „სიტროენ ჯორჯიას“ მოთხოვნისა და 4 ჩაშლილი ტენდერის შემდგომ, რაც, სააგენტოს პოზიციით, კონკურენციას კი არ ამცირებს, არამედ პირიქით – აფართოებს. შემსყიდველმა პირობები შეამსუბუქა, რაც კონკურენციის შეზღუდვად ვერ ჩაითვლება.

3) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დაკავშირებით, საჩივარში საუბარია 1 ტენდერზე, რომელშიც მოხდა „სიტროენ ჯორჯიას“ დისკვალიფიკაცია, რამდენიმე სატენდერო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობიდან გამომდინარე, რასაც მომჩივანი „სიტროენ ჯორჯია“ ასევე კონკურენციის შეზღუდვად აფასებს.

ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების შესყიდვასთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყების საფუძველი არ არსებობს, შემდეგი გარემოებების გამო:

სამინისტრომ კონკურენციის სააგენტოში წარმოადგინა ტენდერის გამოცხადებამდე წარმოებული ბაზრის კვლევა, რომლის მიხედვითაც, მომჩივანმა ითხოვა ტენდერში მონაწილე კომპანიის სავალდებულო გამოცდილების ამოღება სატენდერო პირობებიდან, რათა მას, როგორც ბაზარზე ახლად შემოსულ კომპანიას, ჰქონოდა ტენდერში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. მოთხოვნა დააკმაყოფილა სამინისტროს სატენდერო კომისიამ, რაც გამორიცხავს ბრალდებას, რომ სამინისტროს არ სურდა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ მონაწილეობა ხსენებულ ტენდერში. რაც შეეხება მეორე მოთხოვნას – ავტომობილების შესაბამისი აპარატურით აღჭურვის (რეანიმობილად გადაიარაღების) კუთხით 5-წლიანი გამოცდილების აუცილებლობის შესახებ, ბაზრის წინასწარი კვლევისას შპს „სიტროენ ჯორჯიას“ პრეტენზია არ გამოუთქვამს. ტენდერის პროცესში მან წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც არასწორ ინფორმაციას შეიცავდა „სიტროენ ჯორჯიას“ პარტნიორი უკრაინული კომპანიის რეესტრში რეგისტრაციასთან და, შესაბამისად, 5-წლიან გამოცდილებასთან დაკავშირებით (ხსენებული გადამოწმდა უკრაინის შესაბამის უწყებებთან). აღნიშნულ და სხვა სატენდერო მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო, სატენდერო კომისიამ მოახდინა შპს „სიტროენ ჯორჯიას“ დისკვალიფიკაცია, რაც კომპანიამ გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ამდენად, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მომჩივანი სათანადოდ ვერ ასაბუთებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტს და შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია/დოკუმენტები ვერ აკმაყოფილებს გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს, რომელიც მოკვლევის დაწყების აუცილებელი წინაპირობაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან შპს „სიტროენ ჯორჯიას“ საჩივრის განხილვა მოპასუხეების შპს „სტრადა მოტორსის“, შპს „იბერია ავტოს“, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ შპს „კია მოტორს ჯორჯიას“, შპს „ჯი-თი მოტორსის“ და სს „ფრანს ავტოს“ მიერ შესაძლო შეთანხმებულ მოქმედებაზე მოითხოვს მნიშვნელოვანი მოცულობის დოკუმენტაციის, სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების დადგენასა და შეფასებას, კონკურენციის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება, დაიწყოს მოკვლევა აღნიშნული მოპასუხეების მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ კონკურენციის სააგენტო ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის შესწავლას პერიოდულად ახორციელებს, – აღნიშნულია კონკურენციის სააგენტოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ოზურგეთში მანდატურმა სკოლის მოსწავლეს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოუჩინა

ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში მანდატურმა მოსწავლეს იარაღი აღმოუჩინა. ამის შესახებ „ნიუპოსტს“ ადგილობრივმა კორესპონდენტმა აცნობა.

მისი ინფორმაციით, მანდატურები მაღალი კლასის მოსწავლეებს ყოველდღიურად ამოწმებენ, ერთ-ერთი ასეთი შემოწმების დროს კი, მათ ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩინეს.

№2 საჯარო სკოლაში უფროსკლასელი მოსწავლისგან მანდატურის მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებას უარყოფს ამავე სკოლის დირექტორი, ფატი სიორიძე.

დირექტორი ადასტურებს, რომ მანდატურმა ერთ-ერთ მოსწავლეს რაღაც ნივთი ჩამოართვა, თუმცა, მისი თქმით, ეს არ იყო ცეცხლსასროლი იარაღი, არამედ „რაღაც უცხო ნივთი იყო“.

კონკრეტულად რა ნივთზეა საუბარი, ეს სიორიძემ არ იცის.

რაც შეეხება მანდატურს, ის კომენტარს არ აკეთებს. მისი თქმით, ინფორმაცია პოლიციას უკვე მიაწოდა.

შს სამინისტროში კი აცხადებენ, რომ „მანდატურის მომართვის საფუძველზე მიმდინარეობს საქმის შესწავლა“.

ბათუმში ზღვამ მკვდარი დელფინი გამორიყა

ბათუმში, ანბანის კოშკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზღვამ მკვდარი დელფინი გამორიყა.

როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტს სპეციალისტებმა განუცხადეს, შემთხვევის ზუსტი მიზეზების დადგენა ვერ ხერხდება, სავარაუდოდ კი, ზღვაზე ძლიერ შტორმს ასახელებენ.

მათივე თქმით, დელფინებში რაიმე სახის ინფექციური დაავადების არსებობას არ ვარაუდობენ.

პოლიციამ ამერიკაში ქართველი ექიმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა

ღუისვილის პოლიციამ ქართველი ექიმის, დავით კანდელაკის მკვლელობაში ეჭვმიტანილი მამაკაცი დააკავა. 23 წლის მამაკაცი ეჭვმიტანილია დავით კანდელაკისა და ჯოშუა რაისის მკვლელობაში.

პოლიციის განცხადებით, დაკავებულია ვინმე აარონ ერნანდესი. მას ბრალად ედება მკვლელობა და ნივთიერი მტკიცებულებების ფალსიფიცირება.

პოლიციის განცხადებით, დაკავებულს ჯოშუა რაისთან რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდა. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯოშუა რაისი და დავით კანდელაკი 18 იანვარს, ღუისვილში, აბიგეილ დრაივის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ბინაში მოკლულები აღმოაჩინეს. დავით კანდელაკს ამერიკის მოქალაქეობა ჰქონდა და ის პროფესიით ექიმი იყო. მას მეუღლე და ორი შვილი დარჩა.

გიორგი გიორგანაშვილს საბრძოლო განწყობა აქვს

გიორგი გიორგანაშვილს საბრძოლო განწყობა აქვს, – ამის შესახებ გიორგანაშვილის ადვოკატმა გიორგი მახარაძემ გლდანის №8 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

ადვოკატის ინფორმაციით, ის საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფ პირთან ერთად აპირებს ბრძოლის გაგრძელებას როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური აქტივობების კუთხით. ამასთან, გიორგი მახარაძე არ გამორიცხავს, რომ მან სააპელაციო სასამართლოსთან ერთად კანონის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოსაც მიმართოს.

– ჩვენ შევაფასეთ გუშინდელი დღე. ამჟამად ველოდებით როგორც სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილს. აქციებთან დაკავშირებით გიორგანაშვილი საქმის კურსში ჩავაყენე. მას საბრძოლო განწყობა აქვს. ასეთი საბრძოლო განწყობით გავაგრძელებთ ბრძოლას როგორც სამართლებრივი, ასევე სოციალური აქტივობების კუთხით, – განაცხადა ადვოკატმა.

გიორგი გიორგანაშვილს თბილისის საქალაქო სასამართლომ 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მსახიობს ბრალი ედება დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში.

„ანატოლი ბერძენიშვილი ახმეტ ჩატაევს დაეხმარა და ქალაქ ხოფიდან მისი ტრანსპორტირება უზრუნველყო“

– ანატოლი ბერძენიშვილი 2017 წლის ოქტომბრის ბოლოს ახმეტ ჩატაევს დაეხმარა და მისი ტრანსპორტირება უზრუნველყო ქალაქ ხოფიდან, – ამის შესახებ საქმის პროკურორმა ნანა ხუნჯუამ ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, სადაც ამ წუთებში ანატოლი ბერძენიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე სხდომა მიმდინარეობს.

როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდებული ახმეტ ჩატაევს პირადად შეხვდა და საქმეში ამის დამადასტურებელი მტკიცებულებები არსებობს, როგორც მოწმეთა ჩვენებების, ასევე ნივთიერი მტკიცებულებების სახით.

ამასთან, პროკურორმა აღნიშნა, რომ ბრალდება ანატოლი ბერძენიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვს.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა საქართველოს მოქალაქე ანატოლი ბერძენიშვილი 22 იანვარს თბილისში დააკავა. სუს-ის ინფორმაციით, გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილი ჩავიდა თურქეთში ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად. დაკავებულმა, ზურაბ გორნაკაშვილთან და ზურაბ იდოიძესთან ერთად, ახმედ ჩატაევს და მისი დაჯგუფების წევრებს დახმარება გაუწია თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე გადაადგილებაში.

პროკურორი, რომელსაც წყნეთის ქუჩაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, სავარაუდოდ, თბილისის პროკურორის მოადგილეა

– წყნეთის ქუჩაზე ნაცემი პროკურორი, სავარაუდოდ, თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძეა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსისთვის“ არაოფიციალურად გახდა ცნობილი.

პროკურატურის თანამშრომლის ცემის საკითხზე მთავარმა პროკურატურამ განცხადება ცოტა ხნის წინ გაავრცელა. უწყების ცნობით, პროკურატურის თანამშრომელს მოქალაქემ, რომელიც ტაქსით გადაადგილდებოდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მათივე განმარტებით, პროკურატურის თანამშრომლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყეს.

– საქართველოს პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო გამოძიება პროკურატურის თანამშრომლის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პროკურატურის თანამშრომლის შეტყობინება, რომ 23 იანვარს, ღამის საათებში, თბილისში, წყნეთის ქუჩის მიმდებარედ მოქალაქემ, რომელიც გადაადგილდებოდა ტაქსით, გზის ვიწრო მონაკვეთზე უპირატესი გავლის მოთხოვნით სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კუთვნილი ავტომანქანით მოძრავ პროკურატურის თანამშრომელს, რის შემდეგაც, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის გამოჩენის შემდეგ, ადგილიდან მიიმალა. საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ მომხდარი არ უკავშირდება პროკურატურის თანამშრომლის პროფესიულ საქმიანობას, ამასთანავე, სიმართლეს არ შეესაბამება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ადგილი ჰქონდა ოჯახურ კონფლიქტს, – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ბექა წიქარიშვილს 2-კვირიანი პატიმრობა შეეფარდა

„თეთრი ხმაურის მოძრაობის“ დამფუძნებელ ბექა წიქარიშვილს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, წიქარიშვილი საპატიმროში 14 დღეს გაატარებს. შესაბამისად, სასამართლო დარბაზიდან რამდენიმე საათით გათავისუფლებული ბექა წიქარიშვილი ისევ დააკავეს.

სასამართლომ განმარტა, რომ სხვა ადმინისტრაციული სასჯელი, კერძოდ, ჯარიმა ვერ უზრუნველყოფდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების მიზნებს.

წიქარიშვილს სამართალდამცველები წვრილმან ხულიგნობას ედავებოდნენ. ასევე მის მიერ ფანჯრის ჩამტვრევის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

როგორც ცნობილია, ბექა წიქარიშვილი რეჟისორ თორნიკე ბზიავასთან ერთად გუშინ, თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურებმა, გიორგი გიორგანაშვილის (ბახალა) მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადების შემდეგ დააკავეს. წიქარიშვილმა და ბზიავამ გიორგანაშვილისთვის პატიმრობის შეფარდება გააპროტესტეს და სასამართლოს შენობის ფანჯარას ქვა ესროლეს, რაზეც შსს-მ გამოძიება დაიწყო.

შეგახსენებთ იმასაც, რომ წიქარიშვილის საქმეზე პროცესი დღეს დილით იყო ჩანიშნული, თუმცა დაცვის მხარის მოთხოვნით რამდენიმე საათით გადაიდო, პროცესის გამართვამდე კი, მოსამართლის გადაწყვეტილებით, წიქარიშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა.

ჩხვირკიას და ღოღობერიძის ადვოკატები ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ

ბათუმის მოვლენებზე მსჯავრდებულების ირაკლი ჩხვირკიას და მერაბ ღოღობერიძის ადვოკატები ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ხვალ გაასაჩივრებენ.

როგორც მერაბ ღოღობერიძის ადვოკატმა პაატა შავაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა, ბათუმის სასამართლოს განჩინება ადვოკატებს დღეს გადაეცემათ.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ წარდგენილ ბრალდებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობა არ იკვეთება და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მის უდანაშაულობას დაამტკიცებს.

– სასამართლოს განაჩენს ჩავიბარებთ, სააპელაციოში გავასაჩივრებთ და მერაბ ღოღობერიძის უდანაშაულობის დამტკიცებას შევეცდებით, – აცხადებს პაატა შავაძე.

ბათუმის მოვლენებზე ბრალდებულებს, მერაბ ღოღობერიძეს და ირაკლი ჩხვირკიას, სასამართლომ 1,6 წლით თავისუფლების აღკვეთა 10 იანვარს მიუსაჯა.

დაკითხეს აშშ-ის იუსტიციის მინისტრი

აშშ-ში გრძელდება გამოძიება საპრეზიდენტო არჩევნებში რუსების ჩარევის გამო. სპეცპროკურორმა მიულერმა ტრამპის მთავრობის წევრთა დაკითხვა დაიწყო. ამჯერად გამომძიებლის წინაშე აშშ-ის იუსტიციის მინისტრი სეშნსი წარდგა.

მიულერს განსაკუთრებით აინტერესებდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ექს– დირექტორის კომის დათხოვნის დეტალები.

სეშნსი მთავრობის წევრთაგან პირველია, ვინც სპეცპროკურორმა დაკითხა. უახლოეს ხანებში მიულერი მთავრობის სხვა წევრების დაკითხვასაც აპირებს.

მიულერის გამომძიებლებმა ჯემს კომიც დაკითხეს. კომიმ ჩვენება მისცა აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევასთან დაკავშირებით.

დაკითხვის დეტალები ჯერჯერობით არ ხმაურდება.

სირიელი პარტიზანები თურქეთს მხარს უჭერენ

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავის თურქ კოლეგა ერდოღანს დაუკავშირდა. პუტინმა განაცხადა, რომ მალე სოჭში სირიელ ხალხთა კონგრესი უნდა გაიმართოს. რუსეთის პრეზიდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ კონგრესს ზომიერი სირიელი პარტიზანებიც დაესწრონ.

ერდოღანმა ამას მხარი დაუჭირა.

სირიაში თურქეთის არმიის შეჭრის საკითხში სირიელმა პარტიზანებმა თურქეთს მხარდაჭერა გამოუცხადეს. სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ქურთებმა ალეპოსათვის ბრძოლებში მათ უღალატეს და ასადის მხარეს გადავიდნენ.

– ჩვენ ასადის მმართველობას არ შევეგუებით, – ნათქვამია განცხადებაში.

პოლიტოლოგი ვიტალი პორტნიკოვი მიიჩნევს, რომ სოჭის შეკრება, თუკი ის ჩატარდა, არავითარ შედეგს არ გამოიღებს. ასადის მოწინააღმდეგენი თავიანთ განზრახვაზე უარს არ იტყვიან, რუსეთი კი ასადს არ გასწირავს.

– იდეა, რომ თურქეთის მეშვეობით სირიაში მათთვის სასურველ გარდატეხას მიაღწიონ, მკვდრად შობილია, – თვლის პორტნიკოვი.

როგორც ჩანს, ეს უკვე მოსკოვშიც ესმით. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა თურქეთს სირიის ტერიტორიაზე წინსვლის შეჩერებისაკენ მოუწოდა.

ჩეხეთის პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა

ჩეხეთის პრეზიდენტმა ანდრეი ბაბიშის მთავრობის გადადგომის საკითხი დააკმაყოფილა და მას მინისტრთა ახალი კაბინეტის ფორმირება კვლავ დაავალა.

– ვიმედოვნებ, რომ მოახერხებთ ისეთი მთავრობის ფორმირებას, რომელიც შეძლებს პარლამენტის ნდობის მიღებას, – განუცხადა ჩეხეთის პრეზიდენტმა ქვეყნის პრემიერ-მინისტრს.

23 იანვარს ჩეხეთის პრეზიდენტმა მილოშ ზემანმა განაცხადა, რომ ის კვლავ დანიშნავს ბაბიშს პრემიერ-მინისტრად, მიუხედავად საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგებისა.

ანდრეი ბაბიშის მოძრაობამ გასული წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაიმარჯვა, რის შემდეგაც მილოშ ზემანმა მას მთავრობის შექმნა დაავალა. თუმცა, სხვა პარტიებმა უარი განაცხადეს ამ პროცესში მონაწილეობაზე, ვინაიდან ბაბიშთან მიმართებაში გამოძიება მიმდინარეობს.

ის ეჭვმიტანილია იმაში, რომ თავისი ფირმისთვის უკანონოდ მიიღო ევროკავშირიდან 2 მილიონი ევროს ოდენობის სუბსიდირება.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

105 წლის ვისკის მოყვარული კლდეზე თოკით დაეშვა

105 წლის ბრიტანელი ჯეკ რეინოლდსი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული ადამიანი გახდა, რომელმაც კლდეზე თოკით სწრაფი დაშვება განახორციელა.

– ჩვენ უბრალოდ შევამოწმეთ, ის თავს გაართმევდა თუ არა, – განაცხადა მისმა უმცროსმა ქალიშვილმა, 57 წლის ჯეინ გუდვინმა, – მან სამჯერ შეასრულა დაშვება. არ ვიცი, ის მართლაც გახდა თუ არა ყველაზე ხანდაზმული ადამიანი, რომელმაც დელფერი შეასრულა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ასეც არის.



ყოფილი გზების ზედამხედველი ექსტრემალურმა გართობამ მას შემდეგ გაიტაცა, როდესაც ის 100 წლის გახდა. 2017 წელს გინესის რეკორდების წიგნმა ის ერთადერთ ადამიანად აღიარა, რომელიც ამერიკულ მთებზე ასეთ ხანდაზმულ ასაკში დაეშვა. გარდა ამისა, მან იფრინა ძველი ბიპლანით და აქციაში მონაწილეობისთვის ყინულიანი წყალიც კი გადაისხა თავზე.

გუდვინის მტკიცებით, ყოველ დილით მამამისი თავის ჩაიში ვისკის უმატებს, ხოლო საღამოს – ლიმონათში.

მთვრალი ავსტრალიელი ქალი ავარიაში პირდაპირი ეთერის დროს მოყვა



ავსტრალიის პოლიციამ გამოაქვეყნა ვიდეო გადაღებული მთვრალი გოგონას ტელეფონით, რომელიც მანქანით მგზავრობის პირდაპირ ტრანსლირებას ახორციელებდა. ვიდეორგოლმა მას მედიის ყურადღება მიიპყრო.

ვიქტორიას შტატის პოლიციამ ტელეფონით გადაღებული ვიდეო იმიტომ გამოაქვეყნა, რომ ყველასთვის ეჩვენებინა, თუ რა სახიფათოა ავტომობილის მართვა მთვრალ მდგომარეობაში და თანაც მობილური ტელეფონით ხელში.

გოგონას ავსტრალიის ვიქტორიას შტატის გზებზე მგზავრობის ტრანსლირება სოციალურ ქსელში მიმდინარეობდა. საბოლოოდ მგზავრობა იმით დასრულდა, რომ 19 წლის გოგონა ავტომობილით გზიდან გადავარდა და ტელეფონის ეკრანი დაამტვრია. თავად გოგონა მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა. მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დასაშვებ ნორმას აჭარბებდა და 1,6 პრომილე შეადგინა.

მეთევზეებს თევზის მაგივრად ექვსმეტრიანი ზვიგენი ესტუმრათ

მეთევზეებმა, რომლებიც ავსტრალიის ქალაქ ადელაიდას მახლობლად თევზაობდნენ, შემთხვევით დიდი თეთრი ზვიგენი მიიზიდეს.

სამი ახლობელი ზღვაში სათევზაოდ მომცრო ნავით გავიდა, რათა კარასი დაეჭირათ. ისინი ნაპირს ექვსი კილომეტრით დაშორდნენ და წყალში თევზების მისაზიდად ქერი ჩაყარეს. მათ გასაკვირად, სატყუარათი თევზების ნაცვლად უზარმაზარი ზვიგენი დაინტერესდა.

მეთევზეების მტკიცებით, მტაცებელი თევზის სიგრძე მათი ნავის სიგრძეს შეესაბამებოდა, რომლის სიგრძეც ექვს მეტრს შეადგენს. საბედნიეროდ ეს შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა, ზვიგენს მათზე თავდასხმა არ უცდია.

დიდი თეთრი ზვიგენი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მტაცებელი თევზია მსოფლიოში. მისი ზომა სიგრძეში საშუალოდ 4,6–4,8 მეტრს აღწევს. ექვსი მეტრი სიგრძის ზვიგენები დიდ იშვიათობას წარმოადგენენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩინელს პირში iPhone-ს ელემენტი აუფეთქდა

ჩინეთში მაღაზიაში მყიდველს, რომელიც iPhone-ს გაყალბებულ ელემენტს ათვალიერებდა, ის პირში აუფეთქდა.

იმისთვის, რომ მოწყობილობა შეემოწმებინა, მამაკაცმა ის პირში ჩაიდო და უკბინა, ამას აფეთქება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ მის სიახლოვეს მინიმუმ ხუთი ადამიანი იმყოფებოდა, ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით – მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო, ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა – ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66. .

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ფაჩულია თანაგუნდელებით ამაყობს

ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ოკლენდელებმა ნიუ იორკს უმასპინძლეს და 123:112 დაამარცხეს, რაშიც სოლიდური წილი ქართველმა ფორვარდმა დაიდო.

არადა, მასპინძელთათვის მატჩი უხეიროდ დაიწყო – ოკლენდელებმა საწყისი პერიოდი 21:31 წააგეს და კარგა ხნის მანძილზე ჩამორჩებოდნენ.

გოლდენ სტეიტმა თამაში მეორე პერიოდში, სათადარიგოების მოედანზე გამოსვლის შემდეგ გამოასწორა და მესამე პერიოდის წინ სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა – 58:60. დაიწყო მესამე თორმეტწუთიული და ამოიქოქა სტეფ კარის მანქანა. თუმცა, მთავარი მექულეობა ზაზას არ დაუთმია: სწორედ მისი ზუსტი საჯარიმოების წყალობით გოლდენ სტეიტი მატჩში პირველად დაწინაურდა – 64:62. ხოლო მესამე პერიოდის საწყის 6 წუთში 22 ქულიდან 7 მისი იყო.

ზაზამ თავისი მე-13 ქულა მესამე მეოთხედის მე-6 წუთზე ჩააგდო და სხვაობა 9 ქულამდე გაზარდა – 80:71.

მატჩის ამერიკელმა კომენტატორებმა კომპლიმენტს კომპლიმენტი მიაყოლეს: ფაჩულია დიდებულია, როცა სხვებს გაუჭირდათ, ფარქვეშ ლიდერობა ითავა. ზაზა თამაშობს.

მწვრთნელმა ქართველი ცენტრი მეოთხედის მეექვსე წუთზევე შეცვალა. სტეფ კარიმ და კომპანიამ კი შეხვედრა მშვიდად მიიყვანა გამარჯვებამდე – 123:112.

ზაზას მონაგარი: 14 წუთი, 13 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 6-დან 5 ორქულიანი, 3– დან 3 საჯარიმო.

დასრულების შემდეგ ფაჩულია ჟურნალისტებს გაესაუბრა.

ზაზა ფაჩულია:

– მატჩი ცოტა უცნაურად დავიწყეთ, თითქოს ენერგია გვაკლდა, მაგრამ შემდეგ ეს ენერგია დაგვიბრუნდა და კარგი კალათბურთი ვითამაშეთ. რაც შეეხება ჩემს თამაშს, ძალიან ძნელია გამორჩეული იყო გუნდში, სადაც კლეი ტომპსონი, სტეფ კარი და სხვა ვარსკვლავები თამაშობენ, თუმცა ვფიქრობ, რომ გრძელი სეზონის განმავლობაში გუნდისთვის ყველა მოთამაშე მნიშვნელოვანია. ჩვენი გუნდიდან „ოლ სტარში“ 4 კალათბურთელი მიიღებს მონაწილეობას. ეს ისტორიული მომენტია და ვამაყობთ ამით.

გოლდენ სტეიტი მომდევნო მატჩში მინესოტას უმასპინძლებს.

ახალგაზრდული ნაკრები აზერბაიჯანს დაუზავდა

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ახალი მწვრთნელის, გიგა ცეცაძის ხელმძღვანელობით თურქეთში პირველი შეკრება გაიარა და გამომგზავრების წინ ამხანაგური მატჩიც გამართა.

თურქული შეკრების დასკვნით დღეს ჩვენები აზერბაიჯანის ნაკრებს გაეჯიბრნენ და 1:1 ითამაშეს.

ცეცაძემ თავისი სადებიუტო მატჩისთვის გადახალისებული შემადგენლობა მოამზადა, რადგან გუნდში ლეგიონერების ყოფნის ფუფუნება არ ჰქონია. ეს მატჩი უეფას კალენდარულ დღეს არ მიეკუთვნებოდა, ამიტომ ცეცაძეს უახლოესი რეზერვის ნახვა მოუწია. ამიტომაც შანსი რამდენიმე ახალწვეულსაც მიეცა.

მატჩი არ გამოდგა სანახაობრივი. გააზრებული შეტევების გაკეთება ორივე გუნდს უჭირდა და გოლებიც მცველების უხეში შეცდომების შედეგად გავიდა.

პირველი ტაიმის მიწურულს მეტოქე დაწინაურდა – შორიდან ჩაწოდებულ ბურთს გიორგი ახალაძემ ფეხი ისე დაუხვედრა, რომ საკუთარ კარში გადაგზავნა. არადა, ქართველი ფეხბურთელის ახლო-მახლო არათუ აზერბაიჯანელი, არამედ თანაგუნდელიც არ იმყოფებოდა და მარტივად შეიძლებოდა სიტუაციიდან გამოსვლა. ამასთან, გოლის გასვლა და მსაჯის სასტვენის ხმა, რომელმაც პირველი ტაიმის დასრულება გვამცნო, ერთდროულად მოხდა. მოკლედ, რომ ვთქვათ, გოლი გასახდელში არაფრისგან გავიყოლეთ.

გამთანაბრებელი გოლი ბექა მიქელთაძემ თავით გაიტანა. აქ უკვე მეტოქე დაგვეხმარა: ქართველთა სტანდარტი საჯარიმოში ჩაწოდდა, იქ აზერბაიჯანელმა მცველმა შორეულ ძელთან უმეთვალყუროდ დარჩენილი მიქელთაძე „დაინახა“ და ბურთიც მას მიაწოდა.

21-წლამდე ნაკრების სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: ჩოჩიშვილი, ნადირაძე, ქანთარია, კოპოური, ახალაძე, სამურკასოვი, ბაშელეიშვილი, შულაია, რუხაძე, არველაძე, მიქელთაძე.

შეცვლაზე შევიდნენ: შოვნაძე, ჩაჩუა, კამლაძე, გიორბელიძე, კუცია, ხარებაშვილი, მაჭარაშვილი, გადრანი, საღრიშვილი, ღუდუშაური.

ჯაბა კანკავა: კარიერის დასრულება მინდოდა



საქართველოს ნაკრების კაპიტანმა და ყაზახეთის ტობოლის ახალწვეულმა ჯაბა კანკავამ ყაზახურ მედიასთან საუბარში განაცხადა, რომ თუ სასურველ კლუბს ვერ იპოვიდა, საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებდა.

ჯაბა კანკავა:

– ტობოლთან კონტრაქტის გაფორმებით განსაკუთრებით გახარებული ვარ. დიდი ხნის ლოდინის მერე, მათი შეთავაზება ყველაზე ხელსაყრელი იყო.

– პრესაში იწერებოდა, რომ თქვენი შეძენა თურქულ და პოლონურ კლუბებს სურდათ, ასევე მახაჩყალის ანჟის.

– რამდენიმე ვარიანტი იყო, მაგრამ კონტრაქტის გაფორმების დროს ბევრი რამის გათვალისწინებაა აუცილებელი, მათ შორის ფინანსური მომენტების. თურქეთიდან არავინ დამკავშირებია, თუმცა ვიცი, რომ საუბარი 2 იქაურ კლუბზე იყო. ისიც მართალია, რომ ჩემით ანჟიც დაინტერესებული იყო.

– ასევე საუბრობდნენ თქვენს იტალიურ ჯენოაში გადასვლაზე. ეს მხოლოდ ჭორი იყო?

– იტალიიდან წინადადება არ მქონია. რეიმსიდან როდესაც წავედი, პოლონეთსა და ესპანეთში თამაშის შანსი მქონდა, მაგრამ არ გამოვიდა.

– ესპანეთის ლა ლიგის კლუბი გიწვევდათ?

– დიახ, მაგრამ ამ შემთხვევაში იქ გადასვლის ხელის შემშლელი ფაქტორები გამოჩნდა და ... ამის შესახებ საუბარი არ მსურს.

– ალბათ, სხვა არჩევანი არ იყო, რადგან ჯაბა კანკავა ყაზახეთში გაემგზავრა?

– საფრანგეთში არც ვფიქრობდი, რომ რამდენიმე თვეში ყაზახეთში აღმოვჩნდებოდი, მაგრამ ასე მოხდა.

– ტობოლზე რას იტყვით – ფინანსურ მხარესა და კლუბის ინფრასტრუქტურაზე? შესაძლოა, კლუბის შესახებ თანამემამულე ნიკა კვეკვესკირმა მოგიყვათ.

– ქართველის მხარდაჭერა ახალ კლუბში ადაპტაციაში მნიშვნელოვნად მეხმარება. სხვათა შორის, ყაზახები ნიკას დახმარებით დამიკავშირდნენ. ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, ტობოლის სტადიონი დიდი არაა, მაგრამ პირობები და ბაზა ნორმალურია. კლუბის ბიუჯეტზე ვერაფერს ვიტყვი. გადამწყვეტი ფაქტორი კონტრაქტი გახდა, რომელმაც ამ ეტაპზე დამაკმაყოფილა, მისი ფინანსური მხარის გათვალისწინებითაც.

– კონტრაქტი ერთწლიანია?

– 1+1, მაგრამ სინამდვილეში ერთწლიანია, რადგან სეზონის დასრულების შემდეგ, მხარეებმა უნდა დაადასტურონ, რომ თანამშრომლობის გაგრძელება სურთ, თუ კონტრაქტის ყველა პუნქტი ორივე მხარეს დაგვაკმაყოფილებს. სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ ერთწლიანია.

– გუნდს თურქეთში შეუერთდით?

– დიახ. ორკვირიანი შეკრება ანტალიაში გავიარეთ. საერთო ჯამში, 3 შეკრება გვექნება და ყაზახეთში მარტში დავბრუნდებით.

– რეიმსის მთავარმა მწვრთნელმა მიშელ დერ ზაქარიანმა განაცხადა, რომ თუ კანკავა გუნდის წესებით არ იცხოვრებს, მაშინ გოლფი ითამაშოსო?

– მწვრთნელთან პრობლემა არ მქონია. დერ ზაქარიანი რეიმსიდან რომ წავიდა, მას შემდეგ კიდევ რამდენიმე თვე არ მითამაშია. გუნდის მთავარ მწვრთნელთან გაუგებრობა 3 კვირა გაგრძელდა და მალე ყველაფერი მოგვარდა. ყოველ შემთხვევაში, ეს კლუბიდან ჩემს წასვლას არ უკავშირდება. გარდა ამისა, რეიმსის ხელმძღვანელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა და მათ ჩემი დატოვება სურდათ, რადგან კლუბთან კონტრაქტი კიდევ 1 წელი მაკავშირებდა. თუმცა, საფრანგეთის ლიგა 2-ში თამაშის სურვილი არ მქონდა. რეიმსის ხელმძღვანელებთან საუბარში არ დამიმალავს, რომ თუ მისაღები ვარიანტები არ მექნებოდა, მაშინ საფეხბურთო კარიერას დავასრულებდი.

– რატომ ასე კატეგორიულად?

– იმ მომენტში ვფიქრობდი, რომ თუ ჩემთვის მისაღები წინადადება არ მექნებოდა, მაშინ კარიერას დავამთავრებდი. თუმცა, მას მერე ბევრი რამ შეიცვალა, ახლა მზად ვარ, რომ მინიმუმ ერთი წელიწადი მაინც ვითამაშო.

საქართველოს ნაკრებმა ერთა ლიგაზე მეტოქეები გაარკვია

შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში უეფას ერთა ლიგის 2018-19 წლის სეზონის წილისყრა გაიმართა.

კენჭისყრის დაწყებამდე უეფას პრეზიდენტმა, ალექსანდრ ჩეფერინმ ერთა ლიგის თასი წარადგინა.

შეგახსენებთ, რომ უეფას ერთა ლიგა 2018 წლის სექტემბერში დაიწყება და ოთხი ლიგის გამარჯვებული ევროპის ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს. აღსანიშნავია, რომ გუნდები ასევე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც ითამაშებენ.

საქართველოს ნაკრები დ დივიზონის პირველ კალათში იმყოფებოდა და მისი მეტოქეები ლატვია, ყაზახეთი და ანდორა იქნებიან.

დივიზიონის სრული შედეგები ასეთია:

ა ჯგუფი: ანდორა, ყაზახეთი, ლატვია, საქართველო;

ბ ჯგუფი: სან მარინო, მოლდოვა, ლუქსემბურგი, ბელარუსი;

ც ჯგუფი: კოსოვო, მალტა, ფარერები, აზერბაიჯანი;

დ ჯგუფი: გიბრალტარი, ლიხტენშტეინი, სომხეთი, მაკედონია.

4 საუკეთესო ნაკრები მომავალ ერთა ლიგაში მაღალ დივიზიონში დაწინაურდება. გარდა ამისა, 2020 წლის მარტში ეს 4 ნაკრები საპლეიოფო სისტემით გაითამაშებს ევროპის ჩემპიონატის საგზურს.

ს დივიზიონი

ა ჯგუფი: ისრაელი, ალბანეთი, შოტლანდია;

ბ ჯგუფი: ესტონეთი, ფინეთი, საბერძნეთი, უნგრეთი;

ც ჯგუფი: კვიპროსი, ბულგარეთი, ნორვეგია, სლოვენია;

დ ჯგუფი: ლიტვა, ჩერნოგორია, სერბეთი, რუმინეთი.

4 საუკეთესო ნაკრები მომავალ ერთა ლიგაში მაღალ დივიზიონში დაწინაურდება. გარდა ამისა, 2020 წლის მარტში ეს 4 ნაკრები საპლეიოფო სისტემით გაითამაშებს ევროპის ჩემპიონატის საგზურს. 4 აუტსაიდერი კი დ დივიზიონში დაქვეითდება.

ბ დივიზიონი

ა ჯგუფი: ჩეხეთი, უკრაინა, სლოვაკეთი;

ბ ჯგუფი: თურქეთი, შვედეთი, რუსეთი;

ც ჯგუფი: ჩრ.ირლანდია, ბოსნია, ავსტრია;

დ ჯგუფი: დანია, ირლანდია, უელსი.

ჯგუფის გამარჯვებული 4 ნაკრები 2020 წლის ერთა ლიგაში ერთი დივიზიონით მაღლა აიწევს. 2020 წლის მარტში 4 საუკეთესო ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად იბრძოლებს.

ჯგუფების აუტსაიდერები ბ დივიზიონიდან გავარდებიან და მომავალ გათამაშებაში ც დივიზიონში იასპარეზებენ.

ა დივიზიონი

ა ჯგუფი: ჰოლანდია, საფრანგეთი, გერმანია;

ბ ჯგუფი: ისლანდია, შვეიცარია, ბელგია;

ც ჯგუფი: პოლონეთი, იტალია, პორტუგალია;

დ ჯგუფი: ხორვატია, ინგლისი, ესპანეთი.

ა დივიზიონში პირველ ადგილებზე გასული გუნდები 2019 წლის ივნისში უეფას ერთა ლიგის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ და გამოვლინდება ტურნირის საუკეთესო ნაკრები. ფინალური ეტაპის მასპინძელი ქვეყანა 2018 წლის დეკემბერში დასახელდება.

ის ნაკრებები, რომლებიც ჯგუფებში ბოლო ადგილებს დაიკავებენ, 2020 წლის ერთა ლიგაში ერთი დივიზიონით დაქვეითდებიან და ბ დივიზიონში გააგრძელებენ ასპარეზობას.

მატჩების განრიგი ასეთია:

პირველი ტური: 6-8 სექტემბერი, 2018 წელი;

მეორე ტური: 9-11 სექტემბერი, 2018 წელი;

მესამე ტური: 11-13 ოქტომბერი, 2018 წელი;

მეოთხე ტური: 14-16 ოქტომბერი, 2018 წელი;

მეხუთე ტური: 15-17 ნოემბერი, 2018 წელი;

მეექვსე ტური: 18-20 ნოემბერი, 2018 წელი.

ფინალური ეტაპის წილისყრა 2018 წლის დეკემბერში გაიმართება, ხოლო თავად ფინალური ეტაპი – 2019 წლის 5 ივნისიდან 9 ივნისამდე.

ევრო 2020-ის პლეი ოფის წილისყრა 2019 წლის 22 ნოემბერსაა დანიშნული. ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის პლეი ოფის მატჩები კი 2020 წლის 26-დან 31 მარტამდე გაიმართება.

შედეგები

23 იანვარი

ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

ბრისტოლი-სიტი 2:3

ესპანეთი. სამეფო თასი

სევილია-ატლეტიკო 3:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-დუისბურგი 0:2

ინგოლშტადი-ზანდჰაუზენი 0:0

ნიურნბერგი-რეგენსბურგი 2:2

კილი-უნიონი 2:2

საფრანგეთი. მე-2 ღიგა

გაზელეკი-ნიმი 2:0

პორტუგალია. ღიგის თასი

სეტუბალი-ოლივეირენშე 2:0

მოტლანდია. პრემიერ ღიგა

პარტიკი-სელტიკი 1:2

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-სტანდარტი 2:1

მუსკრონი-კორტრაიკი 0:3

სტ.ტრუიდენი-მეხელენი 2:0

ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

ჯაცები

სანდგრენი-ჩუნი 4:6, 6:7, 3:6

ბერდიხი-ფედერერი 6:7,3:6,4:6

ქალები

კერბერი-კიზი 6:1,6:2

პალეპი-პლიშკოვა 6:3,6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჟიუდოისტები 3 ტურნირზე სხვადასხვა შემადგენლობით იჭიდავებენ

საქართველოს ჟიუდოისტ ვაჟთა ნაკრები გუნდი თებერვალში სამ დიდ ტურნირში გამოვა: 10-11 თებერვალს პარიზში დიდ სლემზე იასპარეზებს, 17-18 თებერვალს ავსტრიულ ობერვარტში ევროპის თასზე იჭიდავებს, ხოლო 23-25 თებერვალს კი ისევ დიდ სლემზე გერმანულ დიუსელდორფში მოსინჯავს ძალებს.

პარიზსა და დიუსელდორფში ნაკრების ძირითადი შემადგენლობა გამოვა, ავსტრიაში კი საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნები წავლენ.

ირაკლი ცირეკიძემ უკვე გამოკვეთა ბირთვი, თუ სად ვინ იჭიდავებს.

პარიზის დიდ სლემზე გამოვლენ ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ამირან პაპინაშვილი, ლუხუმ ჩხვიმიანი (ორივე 60 კგ), ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს მესამე პრიზიორი ვაჟა მარგველაშვილი (66), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (73), ევროპის ორგზის ფინალისტი ნუგზარ ტატალაშვილი და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ზებედა რეხვიაშვილი (ორივე 81), მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი უშანგი მარგიანი და ევროპის მესამე პრიზიორი ბექა ღვინიაშვილი (90), ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიადის ფინალისტი ვალერი ლიპარტელიანი და ლაშა ტაველური (100), ევროპის ჩემპიონი გურამ თუშიშვილი და ევროპის პრიზიორი ლევან მატიაშვილი (+100).

გასაკვირია, რომ სიაში არ არიან საქართველოს მოქმედი ჩემპიონი თამაზ კირაკოზაშვილი (81), ვინც ქვეყნის პირველობაზე რეხვიაშვილი დაამარცხა, და ავთანდილ ჭრიკიშვილი (90).

როგორც ირკვევა, ჭრიკიშვილს ჯერ ისევ აწუხებს ნაოპერაციები ხელი, ხოლო კირაკოზაშვილის არწაყვანა ფსიქოლოგიური მომენტით აიხსნა. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, მას ჯერ კიდევ აკლია წონის ლიდერებთან ჭიდაობის გამოცდილება.

სამაგიეროდ, წონის ლიდერებთან ერთობლივი წვრთნების შემდეგ, მერე გერმანიაში აჭიდავებენ.

კირაკოზაშვილის გარდა, პარიზში ერთობლივ წვრთნებზე წავლენ აგრეთვე თორნიკე ნაგლიაშვილი (66), კობა მჭედლიშვილი (81), ჭრიკიშვილი და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანი ადამ ოქრუაშვილი (+100). კირაკოზაშვილი, მჭედლიშვილი და ოქრუაშვილი გერმანიაშიც იჭიდავებენ, ხოლო იქ მათი დანარჩენი თანაგუნდელების ვინაობა მოგვიანებით გაირკვევა.

სამაგიეროდ, პარიზის ერთობლივ ვარჯიშებს გამოაკლდებიან მარგველაშვილი, შავდათუაშვილი და მარგიანი – ისინი შეჯიბრების დამთავრებისთანავე თბილისში დაბრუნდებიან და ბაკურიანში გაემგზავრებიან, სადაც საგანგებოდ მათთვის ორკვირიანი შეკრება დაიწყება, რომელიც ასევე ფიზიკურ მომზადებას დაეთმობა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დელფინი მამაკაცს შეყვარებულისთვის ხელის თხოვნაში დაეხმარა

დელფინები და მათი მომთვინიერებელი დანიელ ახალგაზრდა მამაკაცს შეყვარებულისთვის ხელის თხოვნაში დაეხმარნენ.

თავის 23-ე დაბადების დღეზე კატრინ რეხდერი ოკეანორიუმში თავის მეგობარ მამაკაც, 30 წლის ფილ ფენტონთან ერთად მივიდა. ერთ-ერთი ნომრის დროს მომთვინიერებელმა გოგონამ მაყურებლებთან ახლოს დელფინი, სახელად ჰიუგო მიიყვანა. ვისთანაც კი არ უნდა მიეყვანა ჰიუგო, უარყოფის ნიშნად თავს იქნევდა და მხოლოდ კატრინთან და ფილისთან მიახლოებისას დააქნია თავი თანხმობის ნიშნად. ამის შემდეგ მომთვინიერებელმა გოგონას პლასტიკატის კონტეინერი გაუწოდა, რომელშიც ბეჭედი იდო, ხოლო დელფინმა ფარფლებით ტაში დაუკრა, ამ დროს ფილმა შეყვარებულის წინ დაიჩოქა და ხელი სთხოვა.

ფენტონის მტკიცებით, ოკეანორიუმის თანამშრომლებმა თავად შესთავაზეს დახმარება, როდესაც მისი გეგმის შესახებ შეიტყვეს. მას უარის თქმა სურდა, ვინაიდან არ მოსწონდა, რომ ასეთ მომენტში მათზე გარეშე ადამიანების მზერა იქნებოდა მიპყრობილი, თუმცა ეს იდეა მთელი კვირა თავიდან არ ამოსდიოდა.

– ასე რომ, გადავიფიქრე, მხნეობა მოვიკრიბე და მათ ვუპასუხე: „დიახ, თუ შეიძლება, – განაცხადა ფენტონმა.

კატრინი ეჭვობდა, რომ მეგობარი მამაკაცი ხელის თხოვნას უპირებდა, მაგრამ ამ ყოველივეში დელფინის მონაწილეობა მისთვის სიურპრიზი აღმოჩნდა. გოგონამ ფილს თანხმობით უპასუხა. წყვილი ქორწილის გამართვას ივნისში, ფილის დაბადების დღეს აპირებენ.

ამერიკულმა ოჯახმა საკუთარ ეზოში 14 დათვი დაასახლა

ამერიკულმა ოჯახმა საკუთარ რანჩოზე, ფლორიდაში 14 დათვი გამოზარდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

57 წლის მონიკა უელდი თავის აღზრდილებს თავის 27 წლის შვილ ჯონი IV-თან ერთად უვლის. მტაცებლების განკარგულებაში რანჩოს მთელი უკანა ეზოა, სადაც არის გუბურა, რამდენიმე აუზი, მდელო და ხეები. ყველაზე მსხვილი დათვების წონა 450 კილოგრამს შეადგენს.

მონიკას მტკიცებით, დათვებს უცხოები არ უყვართ, მაგრამ ადამიანებს თავს არასოდეს დასხმიან.

– სხეულზე რამდენიმე ნაიარევი დამრჩა მათი ბრჭყალებისგან, მაგრამ ეს ბუნებრივია, ისინი ხომ მეტად ძლიერი ცხოველები არიან, – განაცხადა მონიკამ, რომელმაც იქვე აღნიშნა, რომ მის ოჯახს შედგენილი აქვს მოქმედების გეგმა, თუ ცხოველების გამო რაიმე პრობლემა წარმოიშვება.

ჯონი IV-ს თქმით, ის სამი წლის ასაკიდან იზრდებოდა დათვების გარემოცვაში. 2017 წელს გულის შეტევის შედეგად მამის გარდაცვალების შემდეგ, მან გადაწყვიტა, ოჯახური საქმიანობა დედასთან ერთად გაეგრძელებინა.

უელდების ოჯახს რანჩოზე 1946 წლიდან ჰყავდა გრიზლები, შავი და თეთრი დათვები. მათ აღზრდილებს იღებდნენ უოლტ დისნეის ფილმებში და რამდენიმე ტელესერიალშიც.

ორფეხა ხბომ ადამიანივით სიარული ისწავლა

ინდონეზიაში დაბადებულმა ხბომ, რომელსაც წინა ორი ფეხი არ აქვს, ადამიანივით სიარული ისწავლა. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეოზე ასახულია, თუ როგორ სეირნობს სოფლის ქუჩებში ხბო და ის საკმაოდ მოუხერხებლად გადაადგილდება. ის გაჭირვებით ინარჩუნებს წონასწორობას. ცხოველს თვალს ადევნებს მამაკაცი, რომელიც მას დაცემის საშუალებას არ აძლევს. უჩვეულო პოზაში მყოფი ხბო მამაკაცს მხრებამდე წვდება.

ინტერნეტ-მომხმარებლებმა სოციალურ ქსელებში რამდენიმე კომენტარი გამოთქვეს. ერთნი მის მოკვლას ითხოვენ, რომ ხბო ტანჯვისგან განთავისუფლდეს, მეორენი კი მისთვის პროთეზების გაკეთების მომხრენი არიან.

მეხანძრეებმა დივანში გაჭედილი იტალიელი ქალი გაათავისუფლეს

იტალიის ქალაქ ტურინის მეხანძრეებმა დივანში გაჭედილი ქალი გაათავისუფლეს, რომელიც შიგნით ჩავარდნილი მობილური ტელეფონის ამოღებას ცდილობდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი იტალიური გამოცემა ავრცელებს.

ქალმა დივანში ჩავარდნილი სმარტფონის ამოსაღებად ხელი ჩაყო, მაგრამ კიდური მასში გაეჭედა. 40 წლის იტალიელი ქალბატონის ნათესავები მის განთავისუფლებას შეეცადნენ, მაგრამ ნებისმიერი მოძრაობა ქალს უფრო მეტ ტკივილს აყენებდა. მისი დახმარება მხოლოდ შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა მეხანძრეებმა შეძლეს, რომლებმაც შემდეგ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

25 იანვარი

ვერძი – ნერვიულობა, გადაღლა რეკომენდებული არ არის. ალკოჰოლს ერიდეთ. ** კურო** – თქვენი შრომისმოყვარეობა ნაყოფიერი იქნება. პარტნიორი საკმაოდ ფასეულ რჩევას მოგცემთ. **ტყუპები** – მზად იყავით სერიოზული ცვლილებებისათვის. სხვისი აზრი არ გაითვალისწინოთ. გულისთქმას მიენდეთ. **კირჩხიბი** – ჩვეულებრივი სამუშაო დღეა. შესაძლოა, ახლობელს თქვენი დახმარება დასჭირდეს. **ლომი** – გარშემომყოფებთან საქმის გარჩევა საჭირო არ არის. უმჯობესია, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, დაისვენოთ. **ქალწული** – გაუგებრობა, სიცრუე და პროვოკაციები დილიდანვე იჩენს თავს. ემოციებს არ აჰყვეთ. გონიერებას მოუხმეთ. **სასწორი** – დასახული მიზნის მიღწევისას ფინანსური ზარალი გამორიცხული არ არის. ინტუიციას მიენდეთ. **ღრიანკალი** – დაბრკოლებები გელით სამსახურში. ასევე მოსალოდნელია უთანხმოება ოჯახის წევრებთან, ბავშვებთან. **მშვილდოსანი** – ექსპერიმენტებს ერიდეთ. თქვენი საუბარი აკონტროლეთ. **თხის რქა** – ადამიანებთან ურთიერთობისას თავაზიანობა გამოიჩინეთ. ერიდეთ მკვეთრ გამონათქვამებს. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ერთობლივი პროექტები უნაყოფო იქნება. **თევზები** – თავს კომფორტულად გრძნობთ. პირად ცხოვრებაშიც და ბიზნესშიც ყველაფერი წესრიგში გაქვთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯროსვოხდი ბ



შვეულად: 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ბრიტანელი მექანიკოსი; 2. დანალექი, შლამი მდინარის, ტბის ფსკერზე; 3. ოსური ხაჭაპური; 4. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 5. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 8. მდინარე კახეთში ; 9. სისხლის წნევისა და გულის მოქმედების დაქვეითება, რომელსაც თან სდევს გონების დაკარგვა; 10. ნოდარ დუმბაძის რომანი; 12. კუთხე საქართველოში; 13. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 15. უილიამ შექსპირის ტრაგედია.

თარაზულად: 1. მინერალური წყალი ჯავაში; 6. კომუნიკაციის საშუალებათა გაზეთი, ჟურნალი, ტელევიზია და რადიოს საერთო სახელწოდება; 7. სატანავარჯიშო იარაღი; 10. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 11. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 13. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 14. ავტოდრომი იტალიაში; 16. უბანი თბილისში; 17. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში; 18. სისხლის ნებაყოფლობითი გამღები.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯროსვორდების პასუხები:

ჯროსვორდი ა

შვეულად: 1. თარჩია; 2. უწერა; 3. ლოსი; 5. „ვაშაში“; 6. წნევა; 7. ბომარშე; 11. ზარზმა; 13. „ალიგოტე“; 14. ჯიხვი; 15. პორტალი; 16. მუტრუკი; 17. ამპერი; 19. ასადი; 20. „მახა“.

თარაზულად: 1. თხუნელა; 4. ცეკვა; 8. სიონი; 9. შალე; 10. ჩაროზი; 12. ხალვაში; 14. ჯაზი; 15. პეკინესი; 16. მახტა; 18. „ტარტრა“; 21. პირეი; 22. კოლხეთი; 23. დურბანი.

ჯროსვორდი ბ

შვეულად: 1. მეოტიდა; 2. დუაიენი; 3. „მისტრალი“; 4. გელათი; 5. ლონდონი; 8. ბიუჯეტი; 9. კარამელი; 12. ორატორია; 13. შნიცელი; 16. კოალიცია; 17. „მაესტრო“; 19. ისინდი; 20. შალახო.

თარაზულად: 6. ხევსურეთი; 7. სექტორი; 8. ბატიკა; 10. ბიზნესი; 11. მომა; 14. ბანკნოტი; 15. ტალახაძე; 18. „ბოჟოლე“; 21. „სალომეა“; 22. შაშვი; 23. იამოტო; 24. კაბელტოვი.

დავით ქაცარავა რეანიმაციაში მოათავსეს

მსახიობი დავით ქაცარავა ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. როგორც მისმა მეგობარმა, ჟურნალისტმა ლაშა ბერულავამ განაცხადა, დავითს გული აწუხებდა:

– სამწუხაროდ, გულთან დაკავშირებული პრობლემების, სავარაუდოდ, ნევროზული ფონის გამო, დათო ქაცარავა ჩაფიძის კლინიკის რეანიმაციაში მოხვდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამჟამად დამაკმაყოფილებელია, თუმცა, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში რჩება. მალე გვეცოდინება გამოკვლევის ზუსტი პასუხები. მალე გამოჯანმრთელება ვუსურვოთ, დეტალებს გაგაგებინებთ.

ეროვნულ ბიბლიოთეკას 87.000 დოლარის წიგნები გადაეცა

ამერიკის საელჩომ ეროვნული ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო მოძრაობა „ეკვილიბრიუმს“ 87 ათასი დოლარის ღირებულების წიგნები და ენის შესასწავლი მაგიდის თამაშები გადასცა.

ინფორმაცია ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა გიორგი კეკელიძემ გავრცელა:

– უპრეცედენტო და ძალიან მნიშვნელოვანი ამბავი! ამერიკის საელჩომ ჩვენს საგანმანათლებლო მოძრაობა ეკვილიბრიუმს 87.000 აშშ დოლარის ღირებულების წიგნები და ენის შესასწავლი მაგიდის თამაშები გადმოსცა!

უფრო დაწვრილებით საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზისა და, პროექტ „ეკვილიბრიუმის“ ფარგლებში, რაიონების ბიბლიოთეკებისთვის, 56 ყუთი ახალი წიგნები, სხვადასხვა გამოცემები და ენის შესასწავლი მაგიდის თამაშები, სულ 87.000 აშშ დოლარის ღირებულების საჩუქრად გადმოგვცა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა უღრმეს მადლობას მოახსენებს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, საელჩოს საზოგადოებრივ საქმეთა განყოფილებასა და საინფორმაციო რესურსების ცენტრის წარმომადგენელს, ქალბატონ ნანა შუღლაძეს დახმარებისთვის.

კახი კავსაძის ავადმყოფობის გამო „მოხუცი ჯამბაზები“ გადაიდო



მსახიობ კახი კავსაძის ავადმყოფობის გამო, რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ დადგმული სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“ გადაიდო.

სპექტაკლი რუსთაველის თეატრში 26 თებერვალს იყო დანიშნული. ინფორმაცია რუსთაველის თეატრმა გაავრცელა:

– ბატონი კახი კავსაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 26 თებერვალს დანიშნული სპექტაკლი ,,მოხუცი ჯამბაზები“ გადაიდო 28 მარტს, შესაბამისად, 26 თებერვლის ბილეთებით სარგებლობა 28 მარტს შეგიძლიათ.

„ექვთიმე ღვთისკაცი“ კინოთეატრებში გამოდის



ნიკოლოზ ხომასურიძის მიერ გადაღებული პირველი მხატვრული ფილმი ექვთიმე თაყაიშვილზე საქართველოს კინოთეატრებში გამოდის.

„ექვთიმე ღვთისკაცი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომელშიც მთავარ როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს. ფილმის ჩვენებები უკვე გაიმართა ექვთიმე თაყაიშვილის მშობლიურ სოფელ ლიხაურში და ბათუში. თბილისში პრემიერა დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო, ამჯერად კი კინოთეატრ „ამირანში“ წითელი ხალიჩა გაიშლება და 25 იანვრიდან ფილმის ნახვა ყველა მსურველს შეეძლება.

ფილმი რამდენიმეწლიანი გადაღებების შემდეგ დასრულდა. მისთვის ფინანსები რეჟისორმა სხვადასხვა კომპანიებისა და რიგითი ადამიანებისგან მოიძია. ფილმის შექმნისთვის თავისი მცირედი წვლილი 7 ათასზე მეტმა ადამიანმა გაიღო.

ფილმში ასახულია ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი მეუღლის როლს ანა წერეთელი ასრულებს. ფილმში მონაწილეობენ ანსამბლ „რუსთავის“ მოცეკვავეები, „ქართული ხმების“ მომღერლები, მომღერალი მეგი გოგიტიძე ფილმს მუსიკალურად აფორმებს.

ნიკოლოზ ხომასურიძე:

– ეს არის ქართველი ხალხის ქველმოქმედებით შექმნილი პირველი მხატვრული ფილმი ექვთიმე თაყაიშვილზე. ფილმის მწარმოებელი კომპანია არის „დაკარგული ლეგენდები“ და მის მხარდაჭერაში მონაწილეობა მიიღო 7000-ზე მეტმა ქართველმა და რამდენიმე პატრიოტმა კომპანიამ. განსაკუთრებული მადლობა გვინდა ვუთხრათ თითოეულ მხარდამჭერს ფილმის შექმნაში შეტანილი წვლილისთვის.

გიორგი ნაკაშიძე ხელისუფლებას აკრიტიკებს

კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე ხელისუფლებას აკრიტიკებს და აცხადებს, რომ ქვეყანაში ყველა დარგში სტაგნაციაა:

– უსამართლობა ზეიმობს, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების არაადეკვატური ძალისმიერი, უმოწყალო, მდაბიო „სამართალი“ ზეიმობს.

სახელმწიფომ, აჯობებს, ყველა იმ დაპირებულ სოციალურ, ეკოლოგიურ, უმუშევრობის პრობლემებს მიხედოს, რომლებიც დღითიდღე საპნის ბუშტებივით სკდება.

სტაგნაციაა ყველა დარგში! ხალხი პანტა-პუნტით გარბის ყოველდღე! დარჩებით მალე მარტოები თქვენს სავარძლებში სახელმწიფო მოხელეებო და უძლურო პარლამენტარებო!

ინდირა ჯგერნაია: „მეზიზღებით ყველა, ვისაც ნარკოტიკთან შეხება გაქვთ“

მომღერალი ინდირა ჯგერნაია ნარკოტიკების მომხმარებლებსაც და მიმწოდებლებსაც აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ საქართველოს საკაცეთს საფრთხე ემუქრება:

– მეზიზღებით ყველა, ვისაც ნარკოტიკთან შეხება გაქვთ, ბარიგაც და მომხმარებელიც ერთი ხართ ჩემთვის. ვისაც ეგ ცხოვრება მოგწონთ კიდე, არ მოგცილდეთ ეგეთები ირგვლივ.

ვაი თქვენს პატრონს, რომ ცხოვრებაში უფრო საკაიფო და მაგარი ვერა დაინახეთ რა. იმას ჩაუდეს არ ითანამშრომლა, ჩაუდეს თორემ, კი არ მოიხმარდა... კარგით რა, ხალხო, ყოველი მეორე გაშტერებული და გადებილებული დადის ქუჩაში, ეს გინდოდათ და მიიღეთ. დატკბით, რომ აღარ გაჩნდება ჯანსაღი სიცოცხლეები, სულ მალე რომ საქართველოს საკაცეთი აღარ ეყოლება და ნელ-ნელა რომ გადავშენდებით.

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სვანეთის კოშკების ფოტო საუკეთესო 15 ნამუშევარში მოხვდა

პროექტის აქტიური მხარდამჭერია იუნესკო. ამ კონკურსის მიზანია, ხაზი გაუსვას ამა თუ იმ ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას და შეიქმნას ფოტოები, რომელთა გამოყენება ვიკიპედიაში და მის გარეთაც, ნებისმიერი ადამიანისთვის თავისუფალი ლიცენზიით იქნება შესაძლებელი.

ვიკიპედიის ქართულენოვანი განყოფილების ორგანიზებით, ბოლო ორი წელია, კონკურსში საქართველოც მონაწილეობს. პროექტის ფარგლებში, 2016 წელს, საქართველოს ძეგლების ამსახველი 6.929 ფოტო აიტვირთა, 2017 წელს კი – 2.052.

პროექტში მონაწილე ქვეყნებში გამარჯვებული ადგილობრივი ფოტოები შემდეგ მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონკურსში, რომელშიც გამოვლინდება 15 საუკეთესო ფოტო ყველა მონაწილე ქვეყანას შორის.

ფოტოკონკურსის ორგანიზატორთა მიერ შერჩეულ 15 საუკეთესო ნამუშევარს შორის საქართველოში გადაღებული ფოტოც მოხვდა. უკრაინელი დმიტრო ბალხოვიტინის მიერ მესტიაში, სვანური კოშკებისთვის გადაღებულმა სურათმა მე-13 საპრიზო ადგილი დაიკავა. ფოტოკონკურსში მონაწილეობა 54-მა ქვეყანამ მიიღო. მთლიანობაში 245 000-ზე მეტი ფოტო აიტვირთა. 10 000-ზე მეტმა ფოტოგრაფმა კი საკუთარი ნამუშევრები თავისუფალი ლიცენზიით გამოყენებისთვის ვიკიპედიას შესწირა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროგრამა

ხუთშაბათი
25 იანვარი

07.30 "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია."კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**ჩენტო ვებრინე**" **10.00, 03.05** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.15, 21.30** "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" **13.00** დოკ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.25, 20.00** ტ/სერ. "**ელემენტარული**" **14.30** დოკ/ფ "ჩამოთვლილთაგან არც ერთი" **15.30, 06.10** დოკ/ფ **16.30** ტ/სერ. "**ადოპტაცია**" **18.30, 07.03** დოკ/ფ "გონების თამაშები" **22.15** ტ/სერ. "**ბანჟორნინეების სახელმძღვანელო ქალებისთვის**" **23.15** მხ/ფ "**მატყუარა ჯეიკობი**" **01.15** მხ/ფ "**სიკვდილის ქანილი**" (ს.სარანდონი) **04.08** მხ/ფ "**ფილადელფია**" (დ.ვაშინგტონი)

06.30, 18.50, 19.03 სერ. "**დასაწყისი**" **9-10** სერ. **07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.30** ქრონიკა **10.15, 11.20** სერ. "**ელიფი**" **12.30** იმედის დღე **14.40, 16.00** სერ. "**ბეჟილი**" **17.45** სერ. "**ცოდვილი**" **21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ფავორიტი**" **4** სერ. **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** სპორტი იმედზე **00.00** სერ. "**სიყვარულისთვის**" **9** სერ. **01.30** მხ/ფ "**ნდობა**" **03.00** მხ/ფ "**ჯერდღის სორო**" **05.00** მხ/ფ "**მოგონებები**"

06.00, 18.50 სერ. "**მეორე შანსი**" **07.00, 20.03** სერ. "**დიდი ოჯახი**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ბედის ანაბარა**" **15.40** სერ. "**მზიანი დღეები**" **16.55** სერ. "**ოთხი ისტორია**" **22.00** პროფილი **23.30** გააცინე და მიიგე **00.00, 01.00, 02.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი

7.50 ან/ფ **8.00** საქმიანი დილა **11.00** ქალების ნარატივი **12.00** სერ. "**რამენზე შეყვარებული**" **13.00, 17.00, 22.00** საინფორმაციო გამოშვება - NEWS **14.00, 16.00** ნინო ჟიჟილაშვილის დღის ამბები **15.00 22.45,** საქმის კურსი **17.50, 0.00, 2.00, 4.00** მხ/ფ **20.00** რეაქცია **23.30** სერ. "**დამალული სიმართლე**" **6.00** ქალების ნარატივი

08.00 ან/ფ "ატომი" **09.00** სერ. "**ერთხელ ზღაპარში 2**" **12.00, 21.00** სერ. "**ელ პრინსიპე**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება 8**" **17.00** სერ. "**ჟუანტიკო-2**" **19.00** სერ. "**ჯაშუში 3**" **22.30** სერ. "**მისტერ რობოტი 2**" **02.30** მხ/ფ "**საი მეფე**" **04.35** მხ/ფ "**უტეხი**" **06.35** მხ/ფ "**ცეცხლი და ყინული**"

08.00 ანანდა **08.10** ანიმაცია **08.30** სერ. "**ბანდოლერა**" **10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 01.30** ახალი ამბები **12.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი**" **13.30, 17.30** ახალი ამბები არჩილ გამზარდიათან ერთად **14.30** ექიმის საათი **15.00, 02.00** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.00** ფაბრიკა **19.55** მე რომ ვიყო **20.00** დე ფაქტო **21.00** სერ. " **პირადი საქმე**" **22.00** სერ. " **ჯადოსნური ამბავი**" **23.00** სახალხო კონტროლი **00.00** სერ. " **ვალანდერი**"

06.10, 08.25 საგალობელი **06.15** დ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მხ/ფ "**ჯუკარანა**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00** ფოტოგალერეა **10.05** ისტორიის დღიური **10.10** მხ/ფ "**კარიერი**" **11.30** ეპოქის სახელები **12.05** მხ/ფ "**თეთრი ქარავანი**" **13.30** კონცერტი - ნუნუ გაბუნია **15.05** დ/ფ "გზა"III ნაწ. **16.00** კონცერტი - თბილისის ბაროკო ფესტივალი **17.15** დ/ფ "თეთრი ფურცელი" **18.15** დ/ფ "თუჯი, ჯეი ჯომოლუნგმა" **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.25** "განთიადი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ძილი ნებისა **21.30** დ/ფ "მიხა ხელაშვილი, უცნობი ისტორიები" **22.20** მოკ. მხ/ფ "**თავადის ქალი მაია**" **23.00** სალამოს ლოცვა **23.15** დ/ფ "მიხეილ ჭიაურელი" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.15** მხ/ფ "**ოთარაანთ ქვრივი**" **01.30** კონცერტი -ბეთჰოვენი კონცერტი N2, N5 **03.00** მხ/ფ "**ბოსვერების მესერი**" **04.30** დ/ფ "გზა" III ნაწ.

10.00 - 23.00 მთავარი თემა (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 3.00** ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

25 იანვრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5117

ევრო — 3.0751

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5026

100 რუსული რუბლი — 4.4451

ამინდის პროგნოზი 25 იანვრისთვის



9 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილის

ქალი ჩანთაში

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

სვანეთის კოშკების ფოტო საუკეთესო 15 ნამუშევარში მოხვდა

ვიკიპედიის საერთაშორისო ფოტოკონკურსში „ვიკის უყვარს ძეგლები“ 245.000 სურათმა მიიღო მონაწილეობა. უპრეცედენტოდ ბევრი ნამუშევრიდან 15 საუკეთესო ფოტო დასახელდა, რომელთა შორის სვანეთის კოშკების ფოტო მოხვდა.

„ვიკის უყვარს ძეგლები“ ყოველწლიური საერთაშორისო ფოტოკონკურსია. კონკურსს ორგანიზებას უწევენ ვიკიპედიის საზოგადოების წევრები ადგილობრივი ვიკიპედიელების დახმარებით. კონკურსში მონაწილეები იღებენ ადგილობრივი მონუმენტებისა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოებს და ვიკისაწყობში ტვირთავენ.

გაგრძელება მე-11 გვერდზე

მარკო როისმა ვარჯიში დაიწყო



დორტმუნდის ბორუსიას ერთ-ერთმა ლიდერმა მარკო როისმა ვარჯიში განაახლა და თებერვალში ის მოედანს დაუბრუნდება.

როისი ყოველთვის ტრავმიანი ფეხბურთელი იყო და ამ მიზეზით მან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გამოტოვა. წლევანდელ სეზონში მარკოს ჯერჯერობით არ უთამაშია და მის გარეშე ბორუსიას საკმაოდ უჭირს სტაბილური ფეხბურთის ჩვენება, განსაკუთრებით შეტევაში. ერთი პერიოდი როისი ბორუსიადან წასვლასაც აპირებდა, მაგრამ შემდეგ მან გადაწყვეტილება შეცვალა და დორტმუნდში დარჩენა გადაწყვიტა.

გარეთ ბეილი, შესაძლოა, რეალიდან წავიდეს



ბოლო პერიოდში საკმაოდ ხშირად საუბრობენ იმაზე რომ მადრიდის რეალის უელსელი ფორვარდი გარეთ ბეილი გუნდს დატოვებს და ისევ ინგლისში დაბრუნდება. მანჩესტერ იუნაიტედს დიდი ხანია სურს ბეილის შეძენა და მზად არის, ამ ფეხბურთელის ტრანსფერში 100 მილიონ ევროზე მეტი გადაიხადოს, მაგრამ რეალს არ სურდა ბეილის გაშვება, თუმცა წლევანდელ ზაფხულში შესაძლოა ყველაფერი შეიცვალოს და ბეილი რეალიდან წავიდეს. მანჩესტერ იუნაიტედის გარდა გარეთ ბეილის შეძენა კიდევ რამდენიმე კლუბს სურს და ყველა ეს გუნდი მზად არის, სოლიდური თანხა გადაიხადოს.

ალეიშ ვიდალი რომაში იჯარით გადავა



ბარსელონას მცველი ალეიშ ვიდალი უახლოეს დღეებში რომას ფეხბურთელი გახდება. ვიდალი რომაში იჯარით გადავა და კვლავ ბარსელონას საკუთრება იქნება.

ვიდალს თითქმის არა აქვს სათამაშო პრაქტიკა, რის გამოც ბარსელონამ მისი იჯარით გასხვისება გადაწყვიტა. ვიდალი ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგი არ ყოფილა და ის მალე იტალიის დედაქალაქში გაფრინდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ეჰ, რა ძნელია ცხოვრება, როდესაც სიცარიელეა...

– სულში?

– არა, მაცივარში...

•••

მოსამართლე მოწმეს ეკითხება:

– თქვენი გვარი?

– ვისი? ჩემი?

– არა, ჩემი! რა თქმა უნდა, თქვენი!

– ქათამაძე.

– დაბადების წელი?

– ვისი? ჩემი?

– არა, ჩემი! რა თქმა უნდა, თქვენი!

– 1955.

– დაოჯახებული ხართ?

– ვინ? მე?

– არა, მე! რა თქმა უნდა, თქვენ!

– დაოჯახებული ვარ.

– დიდი ხანია, ცოლთან ცხოვრობთ?

– ვისთან? ჩემთან?

– არა, ჩემთან!

– თქვენთან, დაახლოებით ნახევარი წელი...

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შენი აზრით, როგორი ქალები არსებობენ?

– ორის სახის ქალები არსებობს, ერთნი, რომლებიც სექსის დროს ისე იქცევიან, თითქოს სადაცაა დაიხოცებიან, ხოლო მეორეები – თითქოს უკვე დაიხოცნენ.

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მოდი, ჩვენი ურთიერთობა გავამრავალფეროვნოთ. გავითამაშოთ.

– კარგი, დაიწყე.

– მოდი, შენ ვითომ ტაქსისტი ხარ, მე კი ახალგაზრდა, სიმპათიური გოგონა, რომელიც სახლამდე მიიყვანე, მაგრამ მგზავრობის საფასური არ აღმომაჩნდა.

– კარგი, მიდი.

– ბიძია, იცით რა, მგზავრობის ფული არ მაქვს და გთხოვთ, გამიშვით, რა!

– წადი მერე, ვინ გიჭერს...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– რომ დაბერდები, მაშინ ხვდები, როდესაც უპირატესობას ანიჭებ პოზიციას „ქალი ზევიდან“.

– არა, დაბერებული მაშინ ხარ, როდესაც უპირატესობას ანიჭებ პოზიციას „ქალი სამზარეულოში“.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

16 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი



„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

19 იანვრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

შავი ვარდი

ქართული დეტექტივი ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

23 იანვრიდან

იორამ ჩადუნელი



საზღაური

ქართული დეტექტივი ტომი 3

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

26 იანვრიდან

რომან გვენცაძე

საბედისწერო გასროლა

ქართული დეტექტივი, ტომი 4

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

30 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

ქურდები და არიფები

ქართული დეტექტივი, ტომი 5

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

მბაპეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა

პსჟ-ს ერთ-ერთი ლიდერის კილიან მბაპეს ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა და ახალგაზრდა ფორვარდი მალე დაუბრუნდება მოედანს.

მბაპემ ტრავმა ლიონთან შეხვედრაში მიიღო და ის პირველივე ტაიმში შეცვალეს.

მბაპე ერთ-ერთ ეპიზოდში ლიონის მეკარეს დაეჯახა და მოედანზე ცუდად დაეცა, რის შემდეგაც მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. პსჟ-ს მეორე ლიდერს ნეიმარს, ასევე ტრავმა აქვს და სავარაუდოდ ბრაზილიელი ვარსკვლავი მოედანს თებერვლის დასაწყისში დაუბრუნდება.

თებერვალში პსჟ-ს მნიშვნელოვანი შეხვედრა ელის მადრიდის რეალთან.

მასკერანომ ბარსელონა ოფიციალურად დატოვა



ბარსელონას არგენტინელმა ფეხბურთელმა ხავიერ მასკერანომ ბარსელონა ოფიციალურად დატოვა.

უკვე იანვრის დასაწყისში გახდა ცნობილი რომ მასკერანო კარიერას ჩინეთში გააგრძელებდა, მაგრამ ოფიციალურად ეს ინფორმაცია დადასტურებული არ იყო.

მასკერანო 33 წლის არის და ბოლო პერიოდში ის იშვიათად ხვდებოდა ბარსელონას ძირითად შემადგენლობაში, ამიტომ მისი წასვლა მოსალოდნელი იყო.

ჩინეთში მასკერანოს, ისევე როგორც სხვა ლეგიონერებს, მაღალი ანაზღაურება ექნება. არგენტინელი მცველი ბარსელონაში 2010 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდთან ერთად უამრავი ტიტული მოიგო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. საბურთაო ჩოგნის ძველი ქართული სახელწოდება; 2. მთიდან დაშვებული თოვლის დიდი მასა; 3. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 5. საორიენტაციო, სასიგნალო ნაგებობა ზღვის სანაპიროზე; 6. მდინარე ოზურგეთში; 7. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 11. მარწყვის ერთ-ერთი სახეობა; 13. მდინარე კახეთში; 14. ტროპიკული მცენარე, რომელიც მხოლოდ ერთხელ ყვავის; 15. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 16. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 19. დროის დიდი მონაკვეთი; 20. ჩაის ბუჩქის ნორჩი, ახლად ამოსული ყლორტი.

თარაზულად: 1. საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა სამხედრო ნაწილში; 4. გერმანული საავტომობილო კომპანია; 8. დიდი ფართობის ვენახი; 9. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 10. ესპანური გრძელი, დასაკეცი ჯიბის დანა; 12. ამერიკული კოსმეტიკური ფირმა; 14. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 15. ებრაული სამლოცველო; 16. დაქირავებული მკვლელი ძველად იტალიაში; 18. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 21. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 22. კვერნისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 23. გიორგი კობახიძის მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია.

თ. კოპალეიშვილი